გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: gazetiilori@gmail.com

№376 (435) 16-23 აგვისტო 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ქიპაშვილი: ხელისუფლება და ეკოლოგიური პრობლემები

გვ.2

## ანზორ დანელია: ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხათრით აირჩია ქართველმა ხალხმა!

გვ.2



გვ.3

## დიმიტრი გულია — ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...

## ექსნაციონალი დეპუტატების ცეზარ ჩოჩელისა და დემურ გადელიას ჩინური ოცნება სენაკში

გვ.4

## სერგი საჯაია: "მგზნებარე" ჭაბუკობიდან "რუსთაველი-2"-ის მთავარ დიასახლისობამდე (შეფინიობამდე)



გვ.6

## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.7



გვ.5

## მირიან მირიანაშვილი: სააკაშვილის მიერ მიტაცებული თანხის რაოდენობა 15-დან 20 მილიარდ დოლარამდე მერყეობს!



## გვამების ზედამხედველი შოთა ხიზანიშვილი

გვ.11

## ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

გვ.8

## დავით თორდია: გაუნელებელი გულისტკივილი

გვ.10

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელისუფლება და ეკოლოგიური პრობლემები

სულ ახლახანს საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტო **IEA**-მ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვით – ჰაერის დაბინძურების მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობით საქართველო მსოფლიოში პირველია.

ღრმად რომ ჩავწვდეთ აღნიშნული ანგარიშის რაობას, უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რას ნიშნავს ჰაერის დაბინძურება – ფილტვების სიმსივნეს, ფილტვებისა და გულის ქრონიკულ დაავადებებს, დაბალ შობადობას, ტუბერკულოზს, კატარაქტას, ხორხის სიმსივნეს. კვლევაში მოცემულია მოკვდაობის მაჩვენებელი საქართველოში – ყოველ 100.000-ს კაცზე, 290. 2012 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების მიზეზით 7 მილიონამდე ადამიანი გარდაიცვალა.

სავალალო მდგომარეობაა, რასაც უდავოდ კომპლექსური მიდგომა ესაჭიროება და არა ისეთი ქარაფშუტული განცხადებები, რასაც წლების განმავლობაში ვისმენთ. გახსოვთ ალბათ, ეკოლოგიის საკითხებში მსოფლიო ფორუმზე მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ღარიბაშვილის ომახიანი გამოსვლა, თან იმის მტკიცედ დაფიქსირება, რომ საქართველო იცავს უცხოეთის რეკომენდაციებს. დასამახსოვრებელი იყო პრემიერის სიტყვა იმდენად, რამდენადაც აღსავსე იყო არა კონკრეტული მსჯელობით, არამედ ზედაპირული, ლოზუნგური შემართებით.

დასამახსოვრებელი იყო ე.წ. ზოგიერთი ექსპერტ-პოლიტოლოგის განცხადებაც შემდეგი შინაარსის – გლობალურ კონფერენციაზე საქართველოს მონაწილეობა ანუ ქვეყნისა, რომელსაც არც ქარხანა აქვს და არც ფაბრიკა – სასაცილოა. იქ ისეთი ქვეყნები მონაწილეობენ, მრეწველობა რომ აქვთ და აქედან გამომდინარე პრობლემებიო.

ზოგიერთი ექსპერტის გაგებით, ჰაერის დაბინძურებაზე მარტო ქარხნის გამონაბოლქვი მოქმედებს. არადა არანაკლები ზიანი მოაქვს წიაღისეულის არასტანდარტულ მოპოვებას, მშენებლობას, მწვანე ნარგავების, ხეების გაჩეხვას, მშენებლობაში ჯანმრთელობისთვის საზიანო დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალების, მოსაპირკეთებელი ფილების (კაფელის, მეტლახის) გამოყენებას, გზის საფარი ასფალტის უხარისხო ბიტუმისგან დამზადებას, უხარისხო ავტოსაწვავის გაყიდვას, გაუმართავი 15-20 წლის ავტომანქანების ექსპლუატაციას და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს უმალ გასცა პასუხი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა: „ჩვენ აუცილებლად შემოვიღებთ სწორ სისტემას ტექნიკური დათვალიერების, რომელიც იქნება ხელმისაწდომი, კორუფციისგან თავისუფალი სისტემა საუკეთესო ევროპული პროექტის მიხედვით“. პრემიერმა „ნაციონალური“ მმართველობის პერიოდიც გააკრიტიკა ავტომანქანების ტექდათვალიერების გაუქმებისთვის. ასე და ამრიგად, მან ბუნების დაბინძურება მთავარ „დამნაშავეს“ ავტოტექდათვალიერების უქონლობას გადააბრალა.

მართალია პრემიერი. ძველი ავტომანქანები, თანაც გაუმართავი, ჰაერს რომ აბინძურებს, ფაქტია, მაგრამ მარტო ძველი ავტომანქანებია დამნაშავე, თანაც კერძო სექტორში არსებული?

არანაკლები დამნაგვიანებლებია კერძო კომპანიების ბალანსზე რიცხული ყვითელი სამარშრუტო ტაქსები, რომლებმაც უკვე ამოწურეს ექსპლუატაციის ვადა, საქალაქო ტრანსპორტი, უკრაინული ავტობუსების „ბოგდანების“ სახით. მათ არათუ ექსპლუატაციის ერთი ვადა ამოწურეს, არამედ რამდენიმე და „დაღლილ-დაქანცულს“, უფრო სწორად დაშლილ-მოშლილს, ისევ გადაჰყავს მგზავრები.

რამდენი დაპირება მოისმინეს თბილისელებმა მერიის მხრიდან საქალაქო ავტობუსების განახლების თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. პრემიერმა, რატომღაც კერძო ავტომანქანების ტექდათვალიერებაზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ არა სახელმწიფო ტრანსპორტზე, რაც უდავო შეცდომაა.

მარტო ავტომანქანის გამონაბოლქვი აბინძურებს ქალაქს?

აბინძურებს, უდავოდ, მაგრამ ვინ უწყობს ხელს ამ დაბინძურებას? განა ხელისუფლება არ არის ჰაერის დაბინძურების უშუალო შემოქმედი?

ავტომანქანა ყველაზე მძიმე გაზებს დაძვრის დროს გამოჰყოფს. რამდენი ასეთი „დაძვრა“ უწევს მას დღის განმავლობაში? უამრავი – ქალაქში არსებული დანგრეული გზების სიუხვის გამო. ორმოს დანახვისთანავე მძღოლი იძულებულია შეანელოს სვლა და პირველ-მეორე სიჩქარით იმოძრაოს, რაც მომაკვდინებელი გამონაბოლქვის გაზრდას იწვევს. არ იქნება ორმო და არ იქნება უხვი გამონაბოლქვი.

გამონაბოლქვის უდავო ხელშემწყობია თბილისის ქუჩებში, ხშირ შემთხვევაში, უაზროდ გამოკიდებული შუქნიშნები, რომლებიც მძღოლებს აიძულებენ გაჩერებას და ხელახლა მოძრაობის დაწყებას პირველ-მეორე სიჩქარით – შესაბამისი გამონაბოლქვის გამოფრქვევით.

ყოვლად დაუშვებელია პატარ-პატარა ქუჩებზე შუქნიშნების დამონტაჟება. ამ ქუჩებზე თითო-ოროლა ავტომანქანა თუ გაივლის. შუქნიშანი არათუ აფერხებს მოძრაობას, გრძელ საცობებსაც ქმნის, შესაბამისი გამონაბოლქვით. უმჯობესი იქნებოდა შუქნიშნების მოციმციმე რეჟიმში გადაყვანა, რაც გააფრთხილებდა მძღოლებს გზაჯვარედინის მოახლოებას, მაგრამ არ გააჩერებინებდა ავტომანქანას.

შუქნიშნების მოწესრიგება ხელისუფლების პრეროგატივაა, ისე, როგორც ქუჩების ორმოების ამოვსება, საკომუნიკაციო ჭების დახურვა და სხვა. ყოველი მცირედი შეფერხება უმალ იწვევს საცობს, გამონაბოლქვი გაზების მოჭარბებულ რაოდენობას, ტრანსპორტელთა ნერვების მოშლას. ყოველივე აღნიშნულის უკან ხელისუფლებაა. მან ვერაფრით შეიგნო, რომ პიკის საათებში ქუჩის ჩაყოლებაზე არსებული ხეებისთვის ტოტების მოჭრა და ამით საცობის შექმნა დაუშვებელია. ის ვერაფრით მიხვდა, რომ საგზაო სამუშაოების წარმოება, ასფალტის დაგება და სხვა, დასვენების დღეებში და ღამის საათებში უნდა ხდებოდეს, საღამოს 8 საათის შემდეგ. ყველა შუქნიშანი მოციმციმე რეჟიმზე გადადიოდეს. ცარიელ ქუჩაზე წითელ ნიშანზე დგომა, თანაც რამდენიმე წუთით, ჰაერის დაბინძურებაა.

ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მშენებლობაა. სამშენებლო ბუმმა წალეკა ქალაქი. აშენებენ ყველგან – ტროტუარიდან დაწყებული, ბაღ-პარკებით დამთავრებული. აშენებენ ერთმანეთის მიჯრით, ერთმანეთის პირდაპირ 2-3 მეტრის დაშორებით. აშენებენ ვიწრო ქუჩებზე, სადაც ისედაც მცირეა ტრანსპორტის გამტარიანობა.

აშენებენ ქალაქის ცენტრში. აშენებენ უსუფთაოდ, სამშენებლო მასალის (ცემენტის, ქვიშის) მშენებარე სახლის წინ ტროტუარზე დაყრით. სამშენებლო მასალის მტვერი ეფინება ქუჩებს, სახლებს, ავტომანქანებს, ადამიანთა ფილტვებს. წვიმის დროს სამშენებლო მტვერი ყვითელი წვიმის სახით აბინძურებს ავტოტრანსპორტს, ტანსაცმელს, საცხოვრებელი სახლებისა თუ დაწესებულებების მინებს, ფასადებს. ვინ უნდა მიაქციოს ყოველივე ამას ყურადღება? ცხადია ხელისუფლებამ, თუმცა მან ისიც ვერ მოახერხა აეკრძალა ტროტუარებზე და ბაღ-პარკებში მშენებლობა.

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი ქალაქთაგანია, სადაც თავდავიწყებით მიმდინარეობს „მწვანე ფილტვების“ განადგურება. ქალაქი მწვანე ნარგავების ნაკლებობას განიცდის და რაც არის, ისიც ნადგურდება, ხელისუფალთა წაყრუების გამო.

საქართველოს ხელისუფალთა გულგრილობის შედეგია ვაკის პარკის გაყოლებაზე, წყნეთის მიმართულებით ხის საფარის გაჩეხვა და ნაცვლად საცხოვრებელი სახლების, უცხო ქვეყნების საელჩოების, ადმინისტრაციული შენობების წამოჭიმვა. მშენებლობისთვის გაჩეხილი ხეები, წინა თაობების მიერ იყო დარგული. ახალმა ვერ იგუა და ისეთი ძალით შეუტია, თითქოს სარეველა ყოფილიყო. განადგურებული ტყის ზოლის ნაცვლად უსახური არქიტექტურის შენობები წამოიჭიმა.

აღნიშნულ დანაშაულს სწორედ ხელისუფლების გულგრილობამ შეუწყო ხელი. ხელისუფალთა გულგრილობით მიმდინარეობს „დეველოპერთა“ მიერ იპოდრომის ტერიტორიის შემცირება-ათვისება.

რა ეკოლოგიაზეა ლაპარაკი, როდესაც დღისით-მზისით ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული ბეტონმრევი მძიმე წონის ავტომანქანები შედიან და გამოდიან სამშენებლო პოლიგონზე, სადაც ღია ცისქვეშ მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი. მსგავსს ვერ იხილავთ ვერცერთ ევროპულ ქვეყანაში. სახელმწიფო არათუ ბინძურ სამშენებლო პროცესს კრძალავს და გარკვეულ ჩარჩოებში სვამს, არამედ ეკოლოგიურად ბინძური სამშენებლო მასალებისგანაც ვერ იცავს მოსახლეობას.

დაბალი ხარისხის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი), აგრეთვე არმატურა, საღებავები, სხვა სამშენებლო მასალები სხვადასხვა სახის დაავადებებს იწვევს, მათ შორის კიბოს. აღნიშნულის შესახებ არაერთხელ დაიწერა ცნობილი სპეციალისტის ანზორ საკანდელიძის მიერ, თუმცა რეაქცია ხელისუფლების მხრიდან არის ნულის ტოლი.

ზემოთმოყვანილი მაგალითები ხელისუფლების გასაკეთებელია – პირდაპირი და გადაუდებელი. რაც შეეხება კერძო ავტომანქანებს და მათ გამართულ მუშაობას, ისიც ხელისუფლების მისახედია.

ყველა ზემოთმოყვანილი მანკიერების გამოსწორების ნაცვლად, ხელისუფლება ისე, როგორც ყოველთვის, დაბალ ღობეს ეცა და ისედაც გაუბედურებული ხალხის ხარჯზე ცდილობს ფონს გასვლას, ავტოტექდათვალიერების შემოღებით. დარწმუნებული ვარ – ტექდათვალიერება ფულის კეთების ახალ წყაროდ იქცევა, ჰაერის დაბინძურებას კი არაფერი ეშველება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ხანდაზმული ავტოტრანსპორტის არსებობაც ხომ ხელისუფლების ბრალია? 25 წლის განმავლობაში მან არაფერი იღონა ხალხის მატერიალური დონის გასაუმჯობესებლად. საქართველოს მოსახლეობას რომ ოდნავი შესაძლებლობა ჰქონდეს, განა 15-20-25 წლის და მეტი ასაკის ავტომანქანით ივლიდა?

გაღლეტილი ხალხის ჯიბიდან უკანასკნელი თეთრების ამოღებას მოემსახურება ხელისუფლების მიერ შემოღებული ავტოტექდათვალიერება. სადამდე?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხათრით აირჩია ქართველმა ხალხმა!

**“ზოგი მკვდარი ბევრ ცოცხალს სჯობს,**
**ზოგი ცოცხლადაც მკვდარია!”**

დიდი შოთა ბრძანებს: **“კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭველსა, სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა”**. თქვენ ცხოვრებაში რა გაქვთ (ქონებრივად) მოხვეჭილი, ეგ მე არ მაინტერესებს, მაგრამ **"სახელი"** რომ მოიხვეჭეთ (?) ეს უდავოა. მთავარი ის არის, რომ სახელი, თუ ამას სახელი ჰქვია, როგორ მოიხვეჭეთ!

სუბიექტს, რომელიც **„დავაჟკაცდი“** სოროსის ფონდში და **“თავისუფლების ინსტიტუტში”**, იქ ისწავლეთ სიკეთის არდანახვა (!), რომელსაც საქართველოში გიცნობდათ (ფიგურალურად) რამოდენიმე კინკილა ადამიანი, უცებ, ბიძინა ივანიშვილის წყალობით, ხდებით ჯერ განათლების მინისტრი (?) (საიდან სადაო, წმინდა საბაო),ხოლო შემდგომ ინიშნებით (!?) ქვეყნის პრეზიდენტად! იცით, ალბათ, დათა რომ ამბობს თუთაშხია, ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო. ანდა, მისი მსგავსი გამოთქმა: **“გაზრდილო ვის მოკლავ? და გამზრდელსაო”**. ისე მოგივიდათ თქვენ და მრავალ თქვენისთანას, **“რესპუბლიკელებს”, “თავისუფალ დემოკრატებს”**, ამ, მხოლოდ პიდარასტების უფლებების დამცველ ნანუაშვილს, რომელსაც თავი მართლა ადამიანის უფლებების დამცველი ჰგონია, სხვათა და სხვათა...

თქვენ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური წუმპიდან ამოგიყვანათ და ქვეყნის **“თამადად”** დაგსვათ, იმის მაგივრად, რომ დღე და ღამე მას ფეხს ბანდეთ, იქით ეურჩებით! მადლობის მაგიერია? **“პლასტელინი”** ვარო, რომ ამბობდი, დაგავიწყდა? **“შემოულაწუნესავით”** რომ დაგატარებდა კარდაკარ, აღარ გახსოვს? თქვენ, ყველა ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, მორიელივით იქცევით! მახსენდება, რუსეთის პრეზიდენტმა, რომ განაცხადა, ჩვენ მზად ვართ საქართველოს ხელისუფლებასთან, ნებისმიერ თემაზე სასაუბროდო. თქვენ რა ჰქნით? განაცხადეთ, რომ ჯერ საზღვარგარეთელ **“მეგობრებს”** (პატრონებს) დაველაპარაკებითო და მერე გადავწყვეტთ როგორ მოვიქცეთო?! რაო, პატრონებმა არ მოგცათ უფლება რუსეთთან ურთიერთობის? ვაი, თქვე საცოდავებო!

მულტფილმი მახსენდება, იმ ვეფხვზე, თაგვის გულით რომ არის, ზუსტად ისეთები ხართ თქვენც! ისე, ეს ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის **“ოცნების”,** და პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის ბრალი! როცა ის გახდა პრემიერ-მინისტრი, უმალ უნდა დაეწყო ქვეყნის გაწმენდა ყოველგვარი სიბინძურისაგან. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, და, აი, შედეგიც სახეზეა! სათავეში მოსვლისთანავე ყველანი თავიანთ ადგილებზე რომ დაესვა, დღეს საქართველოში მეტნაკლებად იქნებოდა სიმშვიდე და ყოველი ჯურის **“პრაშმანდოვკა”** ვერ გაბედავდა ხმის ამოღებას!

ხალხნო, პირველ რიგში მივმართავ კვირიკაშვილს! რატომ აძლევთ ამდენ უფლებას, პირველ რიგში აშშ-ს და ყველა სხვა ელჩებს, რომ თავიანთი ბინძური დინგები არ ჩაყონ იქ, სადაც არ არის მათი საქმე, ანუ საქართველოს საშინაო საქმეებში! დასვით ბოლოს და ბოლოს, თავიანთ ადგილებზე! ანდა გაუშვით ქვეყნიდან, ისე როგორც აზერბაიჯანმა გააგდო მეთიუ ბრაიზა!

ანდა, ეს უცხოელების ფულით ნაკვები ე.წ. **ასო**-ები, ყველგან რომ ეტენებიან უტარო კოვზებივით, რას როშავენ, აზრზე რომ არ არიან, რატომ არ უთითებთ მათ კუთვნილ ადგილს? საიდან, ვინ და რატომ აძლევს ამდენ ფულს, რატომ არ იძიებთ? თურმე პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების ელჩების გადასაწყვეტია, გორში, სტალინის ძეგლი აღადგინონ თუ არა! გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ სახელმწიფო ვართ თუ არა? არ მოგბეზრდათ სხვისი დუდუკის ქვეშ ბუქნაობა? სამშობლოზე ძვირფასი ვისაც რამე აქვს და იმას ანაცვალებს ჩვენს სამშობლოს, ყველას ოხრად დარჩეს ის ძვირფასი! თქვენი არ ვიცი, მაგრამ ხალხის მოთმინების ფიალა, რომ ივსება ეს უკვე სახეზეა!

ბატონო გიორგი! საჭიროა, რომ საქართველოს ჰყავდეს ნამდვილი უფლებადამცველი და არა ეს თვალებგამობლიტული არსება, შეშინებული, რომ იყურება აქეთ-იქით! გაეცით განკარგულება დავით აღმაშენებლის და იოსებ სტალინის ძეგლების ძველ ადგილებზე დაბრუნების თაობაზე! წინასაარჩევნოდ, მრავალ დაპირებათაგან ესეც იყო! აგრეთვე, გაეცით განკარგულება, რომ დაიწყონ ქუთაისში აფეთქებული გმირთა მემორიალის (რასაც მოჰყვა უდანაშაულო დედა-შვილის დაღუპვა), ძველ ადგილზე აღდგენა! დააბრუნეთ თბილისში პარლამენტი! ისე, პარლამენტის დანგრევისათვის, რატომ პასუხს არ სთხოვთ, მუდამ მომღიმარ **“პინოქიო”** დავით ბაქრაძეს? რა, აქაც აშშ-ს ელჩის ნებართვაა საჭირო? სასწრაფოდ მოაცილეთ ქალაქს კამოს ველოსიპედი, მტკვარზე გადებული, ოთხზე წაკუზულ მეძავ ქალს, რომ ჰგავს, ისეთი ხიდი! ბატონი რეზო ამაშუკელის თქმისა არ იყოს, თქვენს გვერდით არის საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მოქალაქე! ღმერთმა არ ინებოს, და თუ თქვენც განზე განუდგებით საქართველოს და მის პატრიოტ მოსახლეობას, მაშინ არ ყოფილა ჩვენი საშველი და ღმერთი ამას არ გაპატიებთ! რაც ძალიან არ მინდა ვირწმუნო!

**პატივისცემით და კეთილი სურვილებით,**
**ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**
**ანზორი დანელია**

**თემის გაგრძელება:** ვინაიდან საქართველოში ყველას პირველ კაცობა სურს, ამიტომ, უპრიანი იქნება, პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდეს, დაუყოვნებლივ!

**ა. დ.**

# ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...



"მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომელთაც მივყავართ იქით, საითაც გზა გვიძევს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აღმა მიუყვებიან წყლის მდინარებას და იმდენად ღრმა კვალს სტოვებენ მის კალაპოტში, რომ ღვარცოფიც კი ვერასოდეს ახერხებს მის წაშლას!" – დიდი მოაზროვნის, თავზარდამცემი გენიის მქონე მწერლისა და ფილოსოფოსის ბლეზ პასკალის ეს სიტყვები არავის მიესადაგება ისე, როგორც პატარა აფხაზეთის დიდ შვილს დიმიტრი გულიას, რომელმაც ჭეშმარიტად წარუხოცელი კვალი დასტოვა არა მხოლოდ ამ უაღრესად ნიჭიერი და ამაყი ხალხით დასახლებული ქვეყნის ცხოვრებაში.

დიმიტრი იოსების ძე გულია 1874 წლის 21 თებერვალს დაიბადა აფხაზეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ უარჩაში. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის უკიდეგანო სივცეში დასახლებული ხალხები თანდათან იწყებდნენ გაუნათლებლობის სიბნელიდან გამოსვლას, ქვეყნად სოკოებივით მრავლდებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები და სკოლები... მაგრამ, შესაბამისი განათლების მიღება მაინც თავადაზნაურთა წრის წარმომადგენლებსა და მდიდარი ოჯახის შვილებს შეეძლოთ. დიმიტრი გულიას ოჯახი კი ღარიბი გლეხობის ფენას წარმოადგენდა, მაგრამ ბავშვში იმთავითვე შეიმჩნეოდა დიდი ნიჭი, განათლებისაკენ სწრაფვა და შესაშური შრომისმოყვარეობა.

ამიტომ, ოჯახმა ბევრი რამ გაყიდა იმისათვის, რომ პატარა დიმიტრი გორის საოსტატო სასწავლებელში მიებარებინათ. აქ სწავლის წლებში მტკიცედ ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან ჩამოსული მოკრძალებული ბავშვის ცხოვრებისეული კრედო, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ შეგნებული სიცოცხლე მშობლიური აფხაზეთის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის მიეძღვნა...

ამ სკოლის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ დიმიტრი გულიამ მასწავლებლობას მიჰყო ხელი და არაერთი ღირსეული თაობა აღუზარდა როგორც მშობლიურ აფხაზეთს, ასევე სრულიად საქართველოს. ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ხსოვნად ინახავს დიმიტრი გულიას პედაგოგიურ მოღვაწეობას 1924-1926 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ამ პერიოდის პედაგოგიურ საქმიანობას დიდად აფასებდნენ ქართული განათლების სისტემის გრანდები, აკადემიკოსები, დიდი ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე და სხვები, რომელთაც სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ, რომ დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო მნიშვნელობის სასწავლო ცენტრად ჩამოყალიბების საქმეში დიმიტრი გულიასაც საკმაოდ დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი.

ასევე დიდად აფასებდა დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მეგობრობდა აფხაზ შემოქმედთან და სწორედ ამ უნიჭიერესმა ტანდემმა ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაუდო სათავე აფხაზეთისა და საქართველოს ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა აფხაზურ კულტურას და ძირძველი აფხაზივით ჰქონდა შესისხლხორცებული აფხაზური ცხოვრების წესი, სიამაყით აღნიშნავდა, რომ დიმიტრი გულიამ იგი მრავალ აფხაზურ საიდუმლოს აზიარა, რამაც მწერლის ლიტერატურულ შემოქმედებაში მკვეთრად გამოსახა აფხაზ გმირთა შესანიშნავი გალერეა და ზოგადად აფხაზური ხაზი.

დიმიტრი გულიამ ვეებერთელა ღვაწლი დასდო ისტორიულად უმდიდრეს აფხაზურ კულტურას, რომელიც იმდროინდელ რუსეთში მიმდინარე, ცარისტული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული დამთრგუნველი პროცესების მიზეზით ლამის მინავლებული გახლდათ. ამ მხრივ მართლაც მრავალმხრივი და ფართო გახლდათ დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწერლო მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ 1892 წელს, მან ცნობილ ისტორიკოსსა და ლინგვისტ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, რუსული გრაფიკის საფუძველზე, შეადგინა აფხაზური ანბანი, რამაც დიდი სტიმული მისცა აფხაზეთის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების შემდგომი წინსვლის საქმეს.

როგორც სულმნათი დიმიტრი გულია, ასევე სხვა დიდი მეცნიერი გამორიცხავდა, რომ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე აფხაზ ერს, მსგავსად კოლხურისა, საკუთარი დამწერლობა არ ჰქონოდა, რომელიც კოლხურთან ერთად ჩაიკარგა ისტორიის ჯურღმულებში. მაგრამ ამ საქმეში ჩასატარებელ დიდ კვლევით სამუშაოებს ხელს უშლიდა იმპერიის ხელისუფალთა მიერ შექმნილი ხელოვნური სიძნელეები, დრო კი არ ითმენდა და ამიტომაც გადაწყდა ახალი აფხაზური ანბანის შექმნა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა უძველესი აფხაზური კულტურისა და ლიტერატურის ძეგლების შენარჩუნებისა და ახალი ნაწარმოებების შექმნის საქმეში.

დიმიტრი გულიას ლექსთა პირველ კრებულებში, რომელიც 1912-1913 წლებში გამოვიდა დღის შუქზე, განსაკუთრებით იყო ხაზგასმული აფხაზი ერის დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ყოველი სახის მჩაგვრელისადმი ღრმა სიძულვილი, ყოველი ლექსი უხვად იყო გაჯერებული პოეტის ოცნებით აფხაზი ხალხის უკეთეს მერმისზე, სამშობლოს ძლიერებაზე, მშობელი ხალხის ბედნიერებაზე...

1919-1920 წლებში დიმიტრი გულიას ინიციატივით სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზურენოვანი გაზეთი "აფსნი", რომლის მთავარ რედაქტორად თავადვე დაინიშნა. შექმნისთანავე იქცა ეს გაზეთი აფხაზი ხალხის იდეურ ორიენტირად და უაღრესად ავტორიტეტულ ბეჭდვით სიტყვად, რომელმაც ლიტერატურულ ასპარეზზე გაუხსნა გზა მრავალ ნიჭიერ აფხაზ შემოქმედს.

სწორედ ამ გაზეთში გამართული კომპეტენტური მოსაზრებებისა და მწვავე კრიტიკული წერილების გამოქვეყნებისშემდეგ გადაწყდა სახელისუფლებო დონეზე, რომ 1921 წელს, მწვავე რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალური რყევების ფონზე სოხუმში ჩამოყალიბებულიყო პირველი აფხაზური თეატრალური დასი. მართალია, დასის შემადგენლობაში თავიდან ჩართული იყვნენ თვითნასწავლი მსახიობები, მაგრამ მუდმივი შემოქმედებითი ძიების წყალობით სოხუმელთა დასი მოკლე ხანში ჩამოყალიბდა მაღალპროფესიულ შემოქმედებით თეატრალურ კოლექტივად.

დღეს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების ჩამოყალიბება მუხრუჭად ექცა ეროვნული პატრიოტიზმის, კულტურისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეს, რაც კატეგორიულად არასწორია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სრულიად ახალი ძალა შთაბერა და დადებითი სტიმული მისცა დიმიტრი გულიას და სხვა აფხაზი მკვლევარებისა და შემოქმედების მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას. დიმიტრი გულიას ლამაზი ლიტერატურული შემოქმედების – ლექსებისა და პოემების მთავარი თემა გახდა საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, რამაც მოკლე ხანში აქცია დაჭაობებული კოლხეთი და აფხაზეთი ულამაზეს წალკოტად და მთელ საბჭოთა კავშირში მშრომელთა დასვენებისა და ეკზოტიკური ხილის მოწევის ერთადერთ სუბტროპიკულ ზონად. დიმიტრი გულიას შემოქმედებაში ასევე ჭარბობდა ხალხთა მეგობრობა და შრომითი გმირობა, ისტორიული ჰეროიკა, აფხაზეთის განუმეორებელი ბუნება, სამშობლოს დაცვა გარე და შიდა მტრის თავდასხმებისაგან.

საბჭოთა კავშირში გადაიქუხა მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც ჩვენმა უტეხმა, ქედმოუხრელმა ხალხმა ფაშიზმზე გაიმარჯვა დიდი ადამიანური მსხვერპლისა და ტანჯვის ფასად. ამ ომში აფხაზეთმაც დიდი მსხვერპლი გაიღო, მრავალი ოჯახის დედა, ცოლი და შვილი შეიმოსა ძაძებით, მაგრამ აფხაზეთმა სამშობლოს მისცა საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ხარაზია, რომელიც ვაჟკაცურად დაეცა მტერთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში (გაზეთი **"ილორი"** მალე მიუძღვნის ამ შესანიშნავ მებრძოლსა და აფხაზი ხალხის წიაღში აღზრდილ გმირს ცალკე წერილს). სწორედ ამ მოვლენებმა ჩამოაყალიბეს ქვეყანაში ახალი შემოქმედებით პათოსი, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩნენ იმ აფხაზეთის პირმშო შემოქმედები, რომლებიც, სამშობლოს სახელით, თვეების განმავლობაში ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდნენ, მაგრამ წამითაც არ დაუხევიათ უკან და გმირულად უკუაგდეს კბილებამდე შეიარაღებული მტერი.

ასევე მაღალპროდუქტიული გახლდათ დიმიტრი გულიასა და სხვა აფხაზ შემოქმედთა ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლებიც ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობასა და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე იყვნენ მოტივირებულები.

სწორედ ამ პერიოდში ქმნის დიმიტრი გულია პოემებსა და ლექსების ციკლს: **"შემოდგომა სოფელში"**, **"ჩემი ქალაქი"**, **"გაზაფხული აფხაზეთში"**, **"ამხანაგს"**, **"საახალწლო"**, **"რუსთაველის ძეგლი სოხუმში"**, **"ტარას შევჩენკო"**, **"ჯამბული"** და სხვა.

შეუფასებელია დიმიტრი გულიას მოღვაწეობა ისტორიულ სფეროში. სწორედ დიმიტრი გულიამ გაფანტა თავის ისტორიულ ნაშრომებში მავანთა მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აფხაზები ჩრდილოკავკასიური წარმოშობისანი არიან და დაამტკიცა, რომ აფხაზები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან ერთად მან დაამტკიცა, რომ კოლხეთის სახელმწიფოს გაჩენიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე იხსენიებიან დღევანდელ აფხაზთა წინაპარი აბაზგები, რომელნიც მოძრაობის შედეგად სახლდებიან მდინარეების ბზიფსა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე და რომ აფხაზებს, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ეთნოსს, უკვე პრეისტორიულ ხანაში გააჩნდათ სამშობლო. რთული და პასუხსაგები პრობლემის სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს, შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელიაო, აფრთხილებდა

სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოუწოდებდნენ ივანე ჯავახიშვილი და დიმიტრი გულია ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს, რომ მეტი ყურადღებითა რუდუნებით მოჰკიდებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის ობიექტურად გაშუქების საქმეს.

პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკოსებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ დიმიტრი გულიას შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული დონით და აზრში წვდომის განსაცვიფრებელი უნარით. დიდმა შემოქმედმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური პროზის განვითარების საქმეშიც. მის კალამს ეკუთვნის პირველი აფხაზური ნოველა **"უცხო ცის ქვეშ"**, რომელიც 1919 წელს დაისტამბა და რომანი **"კამაჭიჭი"**, რომელმაც 1940 წელს იხილა მზის შუქი. დიმიტრი გულიას პროზაულ ნაწარმოებებში მაღალმხატვრულადაა ასახული აფხაზი ხალხის დუხჭირი ცხოვრება ცარიზმის ეპოქაში, ამ ქვეყნის ქალთა დამონებული მდგომარეობა, რევოლუციამდელი აფხაზეთის მძიმე ყოფა, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი. დიმიტრი გულიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა და აფხაზური ხალხური იუმორი.

აფხაზური თეატრის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა დიმიტრი გულიას დრამა **"აჩრდილები"**, რომელიც პირველად სცენაზე 1946 წელს დაიდგა. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები აფხაზეთის ისტორიული ხალხური ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიისა და ენის საკითხებზე. სხვადასხვა დროს გამოიცა გულიას შესანიშნავი ნაწარმოებები **"აფხაზეთის ისტორია"**, **"აფხაზთა ნადირობის ღვთაება და სამონადირეო ენა"**, **"თხის კულტი აფხაზეთში"** და სხვა. დიმიტრი გულიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე სქელტანიანი ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები, აფხაზეთის ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიური ლექსიკონი და სხვა ნაწარმოებები.

ქართულ-აფხაზური ძმური ურთიერთობის ძეგლად დადგა დიმიტრი გულიამ შოთა რუსთაველის უკვდავი **"ვეფხისტყაოსანი"**, რომელიც აფხაზურ ენაზე თარგმნა. ასევე თარგმნა და აფხაზურ ენაზე პირადი ინიციატივით გამოსცა მან ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები.

ეს წერილი მინდა დავასრულო დიდი ფრანგი პედაგოგისა და ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებით: **"ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან..."**

სწორედ ამგვარ ტალანტად და მეგობრობის ბურჯად მოევლინა ქართველ და აფხაზ ხალხებს დიდი შემოქმედი და მამულიშვილი დიმიტრი გულია!

**რედაქციის კომენტარი** – *უბედურება ხშირად წლობით უმზადდება ხოლმე ამა თუ იმ ერს მათივე საშოში სატანის მიერ ჩასახული უღირსი შვილების მიერ. ქართულ-აფხაზური საბედისწერო ტრაგიკული მოვლენებიც ბევრად, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ აფხაზი და ქართველი ჭეშმარიტი რაინდები დიმიტრი გულია, კონსტანტინე მაჭავარიანი, სოკრატ არშბა, ბაგრატ შინკუბა, ბორის ადლეიბა, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, სხვანი და სხვანი, რომლებიც ომახიანად შეგვიძახებდნენ, ცოტას გაგვილაწუნებდნენ კიდეც და მანამდე გამოგვაფხიზლებდნენ, ვიდრე იარაღს მივუშვერდით ერთმანეთს. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს ურთიერთობებში ადგილი ჰქონოდა გარკვეულ პოლიტიკურ რყევებს, მაგრამ ეს ადამიანები საქმეს ომამდე ნამდვილად არ მიიყვანდნენ. სამაგიეროდ იყვნენ შევარდნაძეები და სხვა არამზადები, რომელთაც საკუთარ ანგარებასა და სიხარბეს ანაცვალეს ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ძმობა და ერთობა და ძმა ძმაზე მიუშვეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ საბრძოლველად.*

*ერთი წამით მინდა წამოვაყენო საფლავიდან აზროვნებისა და ხალხთა შორის დანთებული სიყვარულის ეს დევგმირები და წარმოვიდგინო, თუ რას იტყოდა დიმიტრი გულია ერთმანეთზე ვიღაცის ბოროტი ნებით შემკვდარ აფხაზ და ქართველ ბიჭებზე: "მდინარე ენგურის შუაგულში გავაკეთოთ ხელოვნური კუნძული, ზედ აღვმართოთ ხელთუქმნელი ძეგლი და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კვარცხლბეკს გავუკეთოთ შემდეგი წარწერა: "ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის"!*

**როლანდ ჯალაღანია,**
"აიას" და "ფაზისის" აკადემიების წევრი

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს შამილ ჯალაღონიას მამის, არველოდ ჯალაღონიას ძმის, თენგიზ (რევაზ), ზვიად, ზაზა, ზაალ ჯალაღონიებს ბიძის**

**ვახტანგ ჯალაღონიას**

**გარდაცვალების გამო... უფალმა გაანათლოს სოხუმიდან დევნილი ამ დიდებული კაცის სული...**

# ექსნაციონალი დეპუტატების ცეზარ ჩოჩელისა და დემურ გადელიას ჩინური ოცნება სენაკში

### ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობის თაობაზე

გაზეთ **"ვერსიის"** საგამოძიებო ჯგუფის სენაკში ვიზიტის შემდეგ უამრავი კითხვა გაჩნდა (რეპორტაჟი **„ვერსიის"** წინა ნომერში) და საზოგადოებაშიც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ნოსირში, კლინკერის ცემენტის ქარხნის მშენებლობა ოფიციალურად 25 ივნისს გაიხსნა, ჯერ კიდევ არის დრო, ამ კითხვებზე ოფიციალური პასუხები მოვითხოვოთ, რათა სამომავლოდ არც სენაკელები დარჩნენ მოტყუებულები და არც სახელმწიფო (მადნეულის არ იყოს) აღმოჩნდეს ინვესტორის მხრიდან დაშანტაჟებული – **„აირჩიეთ, ბიზნესი და დასაქმებული მოსახლეობა თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი!"** ამიტომაც **„ვერსიამ"** ყველა ის დოკუმენტი მოიპოვა, რომელიც გაიცა და შეეცადა გაერკვია, სჭირდება თუ არა საქართველოს კიდევ ერთი ცემენტის ქარხანა?! შესწავლილია თუ არა ბაზარი და ასევე, ჩატარდა თუ არა კვლევა, თუ რა საფრთხეს შეუქმნის კირქვის საბადოსა და ქარხნის მშენებლობა სენაკის ისტორიულ ნაწილს, მითუმეტეს, რომ, ჩვენი ინფორმაციით, 80-იან წლებში, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ტაშკენტის ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე კირქვის საბადოც დახურა და აშენებული ქარხნის ამუშავების ნებართვაც არ გასცა... მოკლედ, კითხვა უამრავია, დღეს კი ეკონომიკურ ნაწილს განვიხილავთ!

სენაკში, სოფელ ნოსირში, კლინკერის ცემენტის ქარხნის მშენებლობა ოფიციალურად, 25 ივნისს გაიხსნა. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები, ასევე ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები დაესწრნენ. ქარხანას ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია", ასევე „აზიურ-აფრიკული მენეჯმენტის კომპანია" და „ჰუალინგ ჯგუფი" ააშენებს. მხარეებს შორის ხელშეკრულება თბილისში, 24 აპრილს, სასტუმრო Hotels & Preference Hualing Tbilisi-ში გაფორმდა. ოფიციალური ინფორმაციით, ამ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 100 მილიონი აშშ დოლარია. 25 ივნისს, ქარხნის მშენებლობის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე, საძირკველი გაიჭრა, ქარხნის მშენებლობა კი აგვისტოდან დაიწყება და, დაახლოებით, 16-18 თვეში დასრულდება.

მოკლედ, 2017 წლის ბოლომდე, „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია" სენაკში, სოფელ ნოსირში, ცემენტის საწარმოს ააშენებს. ამ მიზნით, „აწარმოე საქართველოს" ფარგლებში, მთავრობამ ინვესტორს 1 ლარად, 263 265 კვ/მ ფართი გადასცა. საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიამ" 8 867 408 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ინვესტორისთვის გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება 2 216 852 ლარია.

„ვერსიის" კითხვაზე, რა პირობით გადაეცა შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიას" სენაკში მიწის ფართობი სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან გვიპასუხეს: „საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში", რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით. პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის 13 ოქტომბრის მთავრობის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად გადაეცა შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიას" სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში მდებარე 263 265 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. განკარგულების თანახმად, კომპანია ვალდებულია შექმნას ცემენტის მწარმოებელი საწარმო. შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია" საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, 8 867 408 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. კომპანია ვალდებულებას იღებს, წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 2 წლის ვადაში აწარმოოს არანაკლებ 400 000 ტონა პორტლანდცემენტი, თიხამიწოვანი, წიდის, სუპერსულფატიანი და ანალოგიური ჰიდრავლიკური ცემენტების (შეღებილი ან შეუღებავი, მზა ან კლინკერების ფორმით) წლიური მოცულობის პროდუქცია".

იმისათვის, რომ ცემენტის ქარხანა ამუშავდეს, აუცილებელია კირქვა და თიხა. სენაკის სოფელ კოტიანეთში, კირქვის რამდენიმე საბადოა. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიაზე, სოფელ კოტიანეთში, კირქვის მოპოვების ლიცენზია გასცა. გარემოს დაცვის სამინისტრომ „ვერსიას" ოფიციალურად აცნობა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის, 2015 წლის 27 აგვისტოს №1381/ს ბრძანების საფუძველზე, შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია"-ზე, სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოტიანეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიცა სასარგებლო წიაღისეულის (საცემენტე კირქვის) მოპოვების №1002891 ლიცენზია. ლიცენზიის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კოტიანეთის კირქვის მოპოვების ჯამური ოდენობა 6 210 000 ტონაა. ლიცენზია 20-წლიანი ვადით, 27.08.2015 წლიდან, 20.12.2034 წლამდე გასცეს.

სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია" 2015 წლის 10 აგვისტოს დარეგისტრირდა. შპს-ს 100%-იან წილს, ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის შვილი, შალვა ჩოჩელი ფლობს. „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიის" დირექტორი მინდია გუმბარიძეა, რომელიც მანამდე, ცეზარ ჩოჩელის ძმის, იაგო ჩოჩელის კუთვნილ კომპანიებში, მათ შორის ს/ს „ქართული ლუდის კომპანიაში" დირექტორად იყო რეგისტრირებული.

რაც შეეხება ცეზარ ჩოჩელს, 2008-2012 წლებში, ის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო, რომელმაც ეს თანამდებობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 22 ნოემბერს დატოვა. 2013 წლის 24 იანვარს, ცეზარ ჩოჩელი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აცხადებდნენ, რომ გუბერნატორად მუშაობის პერიოდში, ჩოჩელი შპს „ნიუ ენერჯის" მფარველობდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში ხელს უწყობდა. სანაცვლოდ, ჩოჩელი უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით შემოსავლებს და ფულის გათეთრების გზით, კანონიერ სახეს აძლევდა. სასამართლომ ჩოჩელი 200.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

### სჭირდება თუ არა კიდევ ერთი ცემენტის საწარმო საქართველოს?

ექსპერტების მონაცემებით, საქართველოში დღეს ცემენტის ჭარბი რაოდენობაა და კიდევ ერთი საწარმოს შექმნა საფრთხის ქვეშ დააყენებს არსებულ საწარმოებს. ამის დასტურად „ვერსიამ" შიდაკვლევაც ჩაატარა და ოფიციალური სტატისტიკაც გამოითხოვა. როგორც აღმოჩნდა, მონაცემები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და მაშინ, ისმის კითხვა – ცეზარ ჩოჩელი აცხადებს, რომ მას ამ პროექტიდან არანაირი ბიზნესმოგება არ აქვს, ექსპერტები ამბობენ, რომ 6 მილიონ ტონაზე გაცემული ლიცენზია ძალიან მცირეა იმისათვის, რომ 100-მილიონიანი ინვესტიცია გონიერმა ბიზნესმენმა განახორციელოს, აქ საუბარი მინიმუმ 50 მილიონზე უნდა იყოს... და ბოლოს, სად მიაქვთ მზა პროდუქტი და რა გზით?

განსჯისთვის გთავაზობთ სტატისტიკას: ცემენტის მთლიანი ბაზრის მოცულობა საქართველოში, 1.075.000 ტონაა. აქედან დასავლეთ საქართველოს ბაზარზე დაახლოებით, 600.000 ტონა ცემენტი მოდის. ისტორიულად, ქართული ცემენტის სექტორი კონცენტრირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც „ჰაიდელბერგცემენტი" ბაზრის აშკარა დომინანტია. მარტო „ჰაიდელბერგის" საწარმო სიმძლავრე აღმოსავლეთ საქართველოში, 1 400 000 ტონამდეა. გარდა ამისა, ცემენტის ბაზრის გარკვეული წილი საშუალო და მცირე ზომის ცემენტის საამქროებსაც უჭირავთ, რომლებიც კლინკერს „ჰაიდელბერგისგან" ყიდულობენ. შესაბამისად, საქართველოს ცემენტის ბაზარი უკვე გაჯერებულია.

წყაროს ინფორმაციით, ანალოგიური ვითარებაა კლინკერის ცემენტის შემთხვევაშიც. "ჰაიდელბერგის" კლინკერის წარმოება ბაზრის მოთხოვნას აღემატება. ამ პრობლემის გადაჭრა ადრე შესაძლებელი იყო ქართული პროდუქციის აზერბაიჯანში ექსპორტით, მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა. აზერბაიჯანში ბაზრის დიდი წილი უჭირავს ცემენტის წარმოებაში მსოფლიო გიგანტ კომპანია "holcims'". 2013 წლიდან, აზერბაიჯანში "norm cementma" დაიწყო ოპერირება, რომლის დადგმული სიმძლავრე 1 600 ტონა კლინკერი და 2 მილიონი ტონა ცემენტია წელიწადში.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ბაზრის მოცულობა, დაახლოებით 600 000 ტონა ცემენტია. ბაზრის მნიშვნელოვანი წილი, ძირითადად, თურქეთიდან იმპორტირებულ ცემენტს უჭირავს. თურქეთიდან დაახლოებით, 184 000 ტონა ცემენტის იმპორტი ხორციელდება. გარდა ამისა, „ჰაიდელბერგი, რომელიც საკუთარ პროდუქციას აღმოსავლეთ საქართველოში ახორციელებს, დასავლეთ საქართველოშიც ყიდის. რაც მთავარია, ცემენტის ბაზარზე „ჰაიდელბერგის" აქტივობა დღითიდღე იზრდება. კომპანიამ უკვე შეიძინა „კავკაზ ცემენტის" ქარხანა, რომელიც ფოთში მდებარეობს. ამ ქარხნის დადგმული სიმძლავრე 200 000 ტონა ცემენტია წელიწადში.

„ვერსიის" წყაროს ინფორმაციით, 2011 წელს, საქართველომ 20 842 800 ლარის ღირებულების 1 502 200 ტონა ცემენტი აწარმოა, 2012 წელს – 21 562 800 ლარის ღირებულების 1 545 500 ტონა ცემენტი, 2013 წელს – 19 086 800 ლარის ღირებულების 1 618 700 ტონა ცემენტი, 2014 წელს – 22 891 100 ლარის ღირებულების 1 618 700 ტონა ცემენტი, ხოლო 2015 წლის იანვარ-სექტემბერში – 17 908 700 ლარის 1 314 800 ტონა ცემენტი. წყაროს ინფორმაციითვე, თეთრი პორტლანდცემენტის ექსპორტი სომხეთში ხორციელდება. 2011-2013 წლებში, სომხეთში, წლიურად, 3 200 000 აშშ დოლარის 25 500 ტონა ცემენტის ექსპორტი განხორციელდა. დანარჩენი პორტლანდცემენტის ექსპორტი კი აზერბაიჯანში, ყაზახეთში, თურქეთსა და სომხეთში ხორციელდება. 2011 წელს, ამ ქვეყნებში 18 739 800 აშშ დოლარის ღირებულების 273 808 ტონა ცემენტი გავიდა ექსპორტზე, 2012 წელს – 33 371 300 დოლარის ღირებულების 453 653 ტონა ცემენტი, 2013 წელს – 32 364 800 დოლარის ღირებულების 438 222 ტონა ცემენტი.

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაცია „ვერსიამ" სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში – „საქსტატი გადაამოწმა, საიდანაც 2012-2015 წლების ცემენტის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაცია გამოვითხოვეთ. „საქსტატის" ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში წარმოებული ცემენტის ოდენობა 2012-2015 წლებში, საწარმოთა დეკლარირებული მონაცემებით ასეთია: 2012 წელს, საქართველომ 215 628 100 ლარის ღირებულების 1 545 545 ტონა ცემენტი აწარმოა, 2013 წელს – 190 868 200 ლარის ღირებულების 1 618 723 ტონა ცემენტი, 2014 წელს – 228 911 600 ლარის ღირებულების 1 618 665 ტონა, ხოლო 2015 წელს – 252 350 300 ლარის ღირებულების 1 755 436 ტონა ცემენტი.

რაც შეეხება ექსპორტ-იმპორტის მონაცემებს, „საქსტატის" ინფორმაციით, საქართველოში წარმოებული ცემენტის ექსპორტი თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ხორციელდება. 2012 წელს, ამ ქვეყნებში 33 374 500 აშშ დოლარის ღირებულების 453 679 ტონა ცემენტის ექსპორტი განხორციელდა, 2013 წელს – 32 365 100 დოლარის 438 222 ტონა ცემენტი, 2014 წელს – 14 544 900 დოლარის 197 969 ტონა, ხოლო 2015 წელს – 14 200 000 დოლარის ღირებულების 21 300 ტონა ცემენტი.

„საქსტატის" ინფორმაციით, ცემენტის იმპორტიორი ქვეყნებია თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, ირანი, ჩინეთი, პოლონეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი და უკრაინა. 2012 წელს, ამ ქვეყნებიდან საქართველოში, 40 665 200 აშშ დოლარის ღირებულების 523 724 ტონა ცემენტი შემოვიდა, 2013 წელს – 39 387 600 დოლარის 509 630 ტონა ცემენტი, 2014 წელს – 26 534 300 დოლარის ღირებულების 322 449 ტონა, ხოლო 2015 წელს – 19 832 400 დოლარის ღირებულების 291 617 ტონა ცემენტი.

ცეზარ ჩოჩელმა ხელისუფლება შეცდომაში შეიყვანა?

ექსპერტები ცემენტის ბაზარზე დიდ სკანდალს პროგნოზირებენ და არკვევენ, თუ რატომ დაინტერესდა „ქართულ ოცნებასთან" დაპირისპირებული ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი ამ ბიზნესით და რატომ გადაწყვიტა პრემიერმა ღარიბაშვილმა გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ხელი მოეწერა პროექტისთვის, რომელიც მთავრობის სხდომაზე დაიბლოკა?

ექსპერტების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩოჩელმა ხელში ჩაიგო სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად, რომელიც გაცილებით ძვირი ღირს და „აწარმოე საქართველოს" ფარგლებში შეღავათიან, ორწლიან საბანკო სესხს მიიღებს. სხვაგვარად აბსოლუტურად აუხსნელია, რატომ ხარჯავს სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა ფულს არარენტაბელური პროექტისთვის. ეს პროექტი რომ არარენტაბელურია და სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსირში, ცემენტის ქარხანაცა და კოტიანეთის კირქვის საბადოც შესაძლებელია სახელმწიფოს დიდ თავისტკივილად ექცეს, ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდანაც ირკვევა.

მართალია, ცეზარ ჩოჩელი აცხადებს, რომ ახალი ქარხანა ექსპორტზე იმუშავებს, მაგრამ ეს პერსპექტივაც უსაფუძვლოა და სრული ბლეფია, რადგან ჯერ ერთი, ქარხანა მდებარეობს სანაოსნო პორტებიდან შორს, რაც ეკონომიკურად მომგებიანი არ არის და მეორე – ექსპორტის ბაზარზე მთავარი დომინანტი თურქეთია შავი ზღვის აკვატორიაში მდებარე მრავალი ქარხნით და მასაც კი უჭირს ცემენტის გატანა. შესაბამისად, არსებული სიმძლავრეების ათვისება ვერ მოხდება და ინვესტორი იძულებული იქნება, ისევ ქართული ბაზარი აითვისოს, რაც კიდევ ერთი დარტყმა იქნება ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისთვის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ცეზარ ჩოჩელმა სოციალური ფონით სპეკულირებით მთავრობა შეცდომაში შეიყვანა. თუ სახელმწიფო ინვესტიციას სპეკულაციურ პროექტში ჩადებს, ეს შანსს მოუსპობს მრავალ ქართველ მეწარმეს, მოახდინონ არსებული რესურსის რეალურად მომგებიან პროექტებში ინვესტირება და ხელი შეუწყონ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას.

და მაინც, რატომ დაინტერესდა ლუდის, სარეცხი ფხვნილებისა და „ბარამბოს" შემდეგ ბატონი ცეზარ ჩოჩელი კირქვითა და ცემენტით და ისიც სამეგრელოში, ან რატომ მისცა ხელისუფლებამ „აწარმოე საქართველოში"'ფარგლებში 1 ლარად ქარხანა და უზარმაზარი ფართი სენაკში?

როგორ გახდა „მიშას გუბერნატორი" და „ვანოს კარის ბიზნესმენი", როგორც მას მეოცნებეები ეძახდნენ, დღეს ხელისუფლებისთვის მისაღები და 100-მილიონიანი პროექტისა და ჩინური კომპანიისთვის სანდო პირი?

აშენებენ თუ არა ჩინურ ქალაქს სენაკში, რა ბიზნესმოგებას ელოდება და რაში დებს 100-მილიონიან ინვესტიციას, ასევე ვინ არის „აზია აფრიკის მენეჯმენტი" და რა პროექტები აქვს განხორციელებული სხვა ქვეყნებში – ამ და სხვა კითხვებზე ექსკლუზიურად „ვერსიას" "ჰუალინგ ჯგუფის" გენერალური დირექტორის მოადგილე, საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ქსინფუ ვანგი უპასუხებს.

**მაია მიშელაძე**

# მირიან მირიანაშვილი: სააკაშვილის მიერ მიტაცებული თანხის რაოდენობა 15-დან 20 მილიარდ დოლარამდე მერყეობს!

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი და **„საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“** თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი, რომელსაც სააკაშვილმა პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** წაართვა, იმ დანაშაულებრივ სქემას შიფრავს, რომლის მეოხებითაც სააკაშვილმა და ნაცისტურმა ხროვამ საქართველოდან დაახლოებით 20 მილიარდი ამერიკული დოლარი გაიტაცეს!

მირიან მირიანაშვილი ამ აურაცხელი თანხის დასაბრუნებლად ხელისუფლებას კონკრეტულ გზებზე მიანიშნებს და აცხადებს, რომ სანამ ფინანსური საფუძველი არ მოესპობათ, სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური სექტის განადგურება არ მოხდება!

**მირიან მირიანაშვილი, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ თავმჯდომარე:** – ქართველი ხალხის სურვილი სამართლიანობის აღდგენისა იმდენად ძლიერია, რომ ამ სურვილმა 2012 წლის 1 ოქტომბერს ქვეყანაში ხელისუფლება შეცვალა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვაცხადებ: **„ნაცმოძრაობის“**, როგორც დამნაშავე პოლიტიკური რეჟიმისა და სისტემის დემონტაჟი ყოვლად შეუძლებელია, თუ არ მოხდება ამ სადისტური კარტელის ფინანსური საფუძვლის მორყევა და მოსპობა.

დასავლეთი მსგავს სისტემებსა და დანაშაულებრივ ფინანსურ და პოლიტიკურ პირამიდებს, უპირველეს ყოვლისა, გადარიცხვების ანგარიშების გასაჯაროებით ებრძვის! თუ ხელისუფლება თითოეული ამ საქმის სამართლებრივ განხილვას დაიწყებს, მაშინ ქვეყანა ჩიხში შევა, რადგან საქმეები უსაშველოდ გაიწელება და მათ განხილვას არათუ საქართველოს, არამედ მთელი ევროპის მოსამართლეთა და გამომძიებელთა რესურსიც არ ეყოფა. რადგან ყველა ასეთი დანაშაულებრივი შეთანხმება, გარიგება თუ მიტაცება საბოლოო ჯამში მაინც გადარიცხვებამდე მივიდა. ხელისუფლებამ სწორედ ამ გადარიცხვების ანგარიშებს უნდა სტაცოს კუდში ხელი და ძალიან მარტივად გავიდეს შედეგზე!

**– ბატონო მირიან, მერედა, რამდენი ასეთი ანგარიში ექნებოდა ნაცისტურ სექტას გახსნილი, სადაც დაყაჩაღებულ ბიზნესმენებსა თუ სხვა კატეგორიის ადამიანებს ფულებს არიცხვინებდნენ? ამ ანგარიშებს ვინ დათვლის და მოძებნის? ესეც რომ არ იყოს, ეს ანგარიშები ახლაც არსებობს?**

– დავიწყოთ იმით, რომ ანგარიშის ნომერი და მონაცემები ბანკთაშორის ელექტრონულ სისტემაში მთელი 25 წლის განმავლობაში ინახება და, აქედან გამომდინარე, სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ გახსნილი ანგარიშები, სადაც დაყაჩაღებულ ხალხს ფულებს არიცხვინებდნენ, დღემდე ხელუხლებლად იქნება დაცული! მეორე – დარწმუნებული ვარ, ჩვენ აქ საქმე არ გვექნება იმდენ საბანკო ანგარიშთან, რამდენი ადამიანიც ამათ გაატყავეს და დააყაჩაღეს!

ჩემი პროგნოზით, მაქსიმუმ, 100 საბანკო ანგარიშის ამოღება იქნება საჭირო და თავიდან ბოლომდე გაიშიფრება, თუ სად წაიღეს სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ქართველი ხალხის მილიარდები!

**– გარდა ფულის „შეწერისა“, ნაცისტური სექტა ხალხს ქონებებსაც ართმევდა!**

– ამის გამოსარკვევად ის ე.წ. ღამის ნოტარიუსები უნდა დაიკითხონ, რომლებიც ღამის ორ და სამ საათზე ქონებებს ამა თუ იმ პირის სახელზე აფორმებდნენ! ჩემი გამოთვლით, სააკაშვილის ხროვამ 9 წლის განმავლობაში დაახლოებით 10 ათასამდე წვრილი, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესობიექტი და მაღაზია წაართვა კანონიერ მფლობელებს, რომელთა ნაწილიც მოიტაცეს, ხოლო ნაწილი – დახარკეს! ის მაღაზიები და ბიზნესობიექტები, რომლებიც დაყაჩაღებასა და დახარკვას გადაურჩნენ, დღემდე ნაცისტური ხროვის ლიდერებისა და მათი ოჯახის წევრების ან უახლოესი ნათესავების საკუთრებაშია; ამიტომაც არ შეეხო მათ სააკაშვილის ტერორის მსახვრალი ხელი. საერთოდ, სააკაშვილი ფულისა და ქონების მიტაცების დანაშაულებრივ საქმიანობაში სამ ფინანსურ პირამიდას ეყრდნობოდა! ესენი იყვნენ: მერაბიშვილი, ახალაიები და გიგი უგულავა, რომელიც უშუალოდ ქალაქში არსებულ ქონებაზე იყო ორიენტირებული!

**– უკაცრავად, მაგრამ ზურაბ ადეიშვილი რაღას აკეთებდა?**

– ზურაბ ადეიშვილს სამივე ამ დანაშაულებრივი პირამიდის კონტროლი და ზედამხედველობა ევალებოდა! ხელისუფლებამ მთელი ეს დაზარალებული ხალხი ან უნდა დაიბაროს და გამოჰკითხოს, ან ონლაინ რეჟიმში სთხოვოს იმ ანგარიშების ნომრების გაგზავნა, სადაც ფული იძულებით შეატანინეს. მერწმუნეთ, ეს ნომრები ყველას აქვს და ყველას ახსოვს.

ჩემს მოძრაობაშიც არიან ადამიანები, რომლებსაც წინასწარ მითითებულ ანგარიშებზე თანხა გადაარიცხვინეს და მათგან არაერთგზის მსმენია – როგორც საყვარელი შვილის სახელი არ დაგავიწყდება, ისე წარმოუდგენელია იმ ანგარიშის ნომრის დავიწყება, რომელზეც თანხა შემატანინესო! ორი-სამი საგამოძიებო ბრიგადის მიერ დღეში ასობით ადამიანი შეიძლება გამოიკითხოს, რომლებიც თავიანთ რეკვიზიტებსა და ანგარიშის ნომრებს 10-15 წუთში დეტალურად მიუთითებენ. ერთ თვეში მთელი ქვეყნის მასშტაბით შედგება სრულიად საკმარისი ინფორმაციული ბაზა, თუ რომელ ანგარიშებზეა გადარიცხული ქართველი ხალხის ჯიბეებიდან ძალით ამოღებული ფული. ამის შემდეგ სახელმწიფომ უნდა მიმართოს შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებს, რათა მოხდეს ამ ანგარიშების მეპატრონეთა იდენტიფიცირება. მერწმუნეთ, პოლიტიკური ნებისა და შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლება უმოკლეს დროში მიადგება სააკაშვილსა და მისი ხროვის წევრთა კონკრეტულ გვარ-სახელებს, რომლებმაც ეს ფული მიიტაცეს!

**– ფიზიკური პირების დაყაჩაღების გარდა, კიდევ ვისი და რისი მილიარდები მიიტაცა სააკაშვილმა?**

– ჩემს მოძრაობაში არის ადამიანი – ხუთი შვილის მამა, რომელსაც წაართვეს ორი წისქვილკომბინატი, წაართვეს სახლი, აჰკიდეს სახელმწიფოს ვალი და აიძულეს, არსად იმუშაოს, რადგან სისტემა ისეა მოწყობილი, ხელფასიდან ისედაც ყველაფერი ჩამოეჭრება! სააკაშვილმა შექმნა სისტემა, რომელიც საქართველოდან ერეკებოდა ამ ქვეყნის მესაკუთრეებს – ქართველებს, რათა თვითონ დარჩენოდა და განეკარგა ყველაფერი!

სააკაშვილის მმართველობის დროს ნავთობსადენში დაახლოებით 350 მილიონმა ტონა ნავთობმა გაიარა. 2004-2013 წლებში ნავთობის საშუალო შეწონილი ფასი დაახლოებით 100 დოლარი იყო. აქ ლაპარაკია ერთ ბარელ ნავთობზე... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთ ტონაში დაახლოებით 6 ბარელია, მაშინ ერთი ტონა ნავთობის ფასი დაახლოებით 600-700 დოლარი გამოდის. საერთო ჯამში, მივალთ იქამდე, რომ სააკაშვილის დროს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენში 200-230 მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობმა გაიარა. აქედან ტრანზიტის საფასურის სახით ჩვენ, მინიმუმ, 17-18 მილიარდი დოლარი მაინც უნდა მიგვეღო, მაგრამ ამის მეათედი და მეოცედი თანხაც არ მიგვიღია.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ სააკაშვილი საერთაშორისო ნავთობკომპანიას გაურიგდა და სატრანზიტო მოსაკრებლის გაზრდის საკითხი დღის წესრიგში არ დააყენა! მიზეზი მარტივი გახლდათ – ის ნავთობის მაგნატებს შეუთანხმდა და „ქეში“ ფულით თავის ჯიბესთან მიიბა! ამ გარიგების შედეგად სააკაშვილი ყოველწლიურად დაახლოებით 250 მილიონ დოლარს „ქეშად“ იღებდა!.. ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას გრიფი „საიდუმლო“ დაადეს. იმის გამო, რომ საოპერაციო კომპანიები „ბიკი“ და „შევრონი“ სააკაშვილთან მსგავს ურთიერთობაში შესვლას თაკილობდნენ, სააკაშვილთან შუამავლისა და დელიკატური ურთიერთობის მომგვარებლის როლი იკისრა ილჰამ ალიევმა. სწორედ ალიევების ოჯახი ახდენდა სააკაშვილის იმ ყოველწლიური 250 მილიონის ინვესტირებას აზერბაიჯანის ეკონომიკაში ისე, რომ მის ფარულ მეპატრონედ ისევ სააკაშვილი რჩებოდა. ანალოგიური რამ ხდებოდა თურქეთშიც და კომპანია „სოკარი“, რომელიც ძალიან სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებს თურქეთში, მიხეილ სააკაშვილის საკუთრება გახლავთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სააკაშვილის ფული ძირითადად სამ ქვეყანაშია დაბანდებული – აზერბაიჯანში, თურქეთსა და უკრაინაში!

**– ბატონო მირიან, ზემოთ დაახლოებით 10 ათასი ჩამორთმეული მაღაზიის შესახებ ბრძანეთ! ეს ქონება რა თანხას შეადგენდა?**

– დიახ, ყველაზე პესიმისტური გათვლებითაც კი სააკაშვილის რეჟიმმა მიიტაცა და კანონიერ მფლობელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით წაართვა დაახლოებით 10 ათასი მაღაზია და საზკვების ობიექტი. მილაპარაკია სპეციალისტებთან და აბსოლუტურად ყველა თანხმდება იმაში, რომ მაღაზიებისა და საზკვების ობიექტების 85 პროცენტის მიტაცებით სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ხელთ იგდეს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ღირებულების ქონება. ამას უნდა დავუმატოთ 160 ათასი ერთეული ბინა, ანუ ნახევარი მილიონი ადამიანის სამოსახლო, რომელთა უდიდესი ნაწილი თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და ნაწილობრივ, რუსთავში მდებარეობს. მევახშეები, რომლებმაც 160 ათასი ერთეული ბინა მიითვისეს და 500 ათასი ადამიანი საცხოვრებლის გარეშე დატოვეს, სააკაშვილის პარლამენტარებისა და პარტიული ბოსების მიერ იყვნენ „დაკრიშული“. საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 100 კაცი, რომელთაგან თითოეულს 100 ბინა მაინც აქვს, ხოლო მერაბიშვილის სანათესაოში შესაძლოა, ისეთებიც მოვძებნოთ, რომლებსაც ათასზე მეტი ბინა აქვთ. სპეციალისტები დაახლოებით 6,5 მილიარდ დოლარად აფასებენ 160 ათასი ბინის საერთო ღირებულებას, საიდანაც თანხის მესამედი სააკაშვილისა და მისი ხროვის ჯიბეში დაილექა.

**– საერთო ჯამში რა ოდენობის თანხა მიიტაცეს სააკაშვილმა და მისმა ხროვამ?**

– სააკაშვილს წამოაყივლა და თქვა – 19 მილიარდის მოპარვას მაბრალებენო! იმის გათვალისწინებით, რომ 10 წლის განმავლობაში მთელი რესპუბლიკის შემოსავალ-გასავალი მაგათ ხელში იყო, ყველაზე უფრო მოკრძალებული გათვლებითაც კი, სააკაშვილის მიერ მიტაცებული თანხის რაოდენობა 15-დან 20 მილიარდ დოლარამდე მერყეობს!

**– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის მიერ შექმნილი ეს ფინანსური პირამიდა დღესაც მუშაობს?**

– რაკი დღევანდელმა ხელისუფლებამ სამართლიანობა არ აღადგინა, ე.ი. ხელუხლებლად დატოვა ის დანაშაულებრივი ფინანსური კარტელი, რომელიც სააკაშვილმა შექმნა!

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ სააკაშვილისა და მისი ხროვის ბიზნესები საქართველოში ერთი ლარითაც კი არ დაზარალებულა!

**– მაინც როგორ მართავს სააკაშვილი საქართველოში თავის ბიზნესს? ხომ შეიძლება, მას უღალატონ და გაექცნენ ადამიანები, რომელთა სახელზეც ეს ბიზნესებია გაფორმებული?**

– იმისათვის, რომ 50 და 100-მილიონიანი ფირმის ფიქტიური მეპატრონე სადმე არ გაიქცეს, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება! ფირმის ფიქტიური მეპატრონე მიჰყავთ კაიმანის კუნძულებზე, ბაჰამის კუნძულებზე ან ნებისმიერ იმ ადგილას, სადაც ოფშორული ზონებია და ფორმის რეალური მეპატრონის ან მისი უახლოესი ნათესავისგან აღებინებენ ვალს! ასე, მაგალითად, თუ კომპანია 50 მილიონს ფლობს, ფირმის ფიქტიურ მფლობელს გააფორმებინებენ 60 მილიონის ან მეტის ღირებულების სასესხო ვალდებულებას და ეს ტიპი ვერსად გაიქცევა! ამიტომაც არის, რომ სააკაშვილი თავის ბიზნესს ოდესიდანაც ეფექტიანად უძღვება და წარმატებით მართავს!

ესაუბრა **დიტო ჩუბინიძე**

## პოეზიის კუთხე

### გიორგია

გიორგია, გიორგია,
გიღვარა, დო გიგორკია,
მინ გეჩიებ, ჩქიმ რექია,
მინ გიწინც, მიორქია,
მუმულ შორო, დას ამახექ,
ტერ გეჩიებ, მოხორხია,
ვადუჯერა სი სარალო,
ქიმირქინე ართ მორქია,
ქიგიშინი აიეტი,
სით ვდუა არგოშ თია,
კოლხიშ ზესხირ გიბურჯუანც,
დრო რე დიჭყე, რია-რია.

***

რექ პიკასოშ ტორონჯი,
თიში გრაფიკა,
ზოღაშ ბოხას, ქოროფე
დუღა აფრიკა
ცირაშ ლუბა, კედერი
პლასტიკა,
ირფელ ართო ეჭოფილ,
ფანტასტიკა.
სქან ძირაფათ, ქომოლეფ
ვერძღინენია
ახალემც ონტუ
დაჩხირ გუნია
სქან იანგე, ლანდშორო
ვეხვილენია.
კათას გგშაქ, ირო
სქანი სილუეტი
გირწკინუნც კდრც
ორქოშ ამულეტ
წყურგილ რექ რინაშ,
დუც რანჯაფი კეტიშ
მის უბირა აბა
ქომწი, სქანი მეტის.

### ლავრენტი ბერიას მეუნჯღვენქ

სამარგალოშ აიეტი, სამარგალოშ ქუჯი,
მიდგაქ მარგალც ოწყინუნი, ქალაკვათი დუჯი.
აიეტიშ ლანდი რექ, გუბაზიში სუნჯი.
სამარგალოშ ჯიხა რექ, ჭყონიშ რექრექ ჯგუნჯგვი.
სქანით რე შურ მიდგნა, ფაცხას ირთუ კუმა,
სქან უკული კურცხას ვორეთ, ვაწამგებნა ლმა,
ასე, ნინას მიწუნენა, შურო ვახუჯუნა.
ჩქნ ნინას გაძიცანა, ლებო ათურჩუნა,
აი, ლავრენტი სი ხვამილი, გორჭყოლად ლმა,
ქუმმახვარით, ქუმმანჭით, ბძვალანა დო ბქუნა,
ჩქნ ნინას მუდმამღანა, დიშქათ ყებურც ჭუნა.

***

ილორიშ, წიმდა გიორგი,
მა, სი ბწანქ, მა, სი მიორქი,
სქან რაშის, ირო ძირისუ,
დუცუ ქიმკობდვა კიდირცუ,
ქოდიბჩოქუქ, დო თაყვანც რცენქ,
სონდარო, გვალო ვაკობცენქ,
ასე ჟამქ კვარჩხშე. მიკირთუ,
რუსიქ ილორც "ურკიტუ".
გეგნონწყ, გეგნოხექენტუ,
კდალას ხატი ვენკიტუ,
იუდაშ მოციქულემც,
რუსეფი ურდუნა, თულემც.
მეურც "გარმოშკამ" წირწინი,
ოთახშე ისმე ღრწკნი,
პაპა მოლაზონც "მეზელი".
შუმილრდას გოკონდ ხერძელი,
უჩაღართამიშ კერკელი,
თინეშიფ გლასერგელი.
წმინდა გიორგი, სი ჯეგე,
მუთუნით ვედი, ვეგეგე,
გობსირეს, გეგმოხორეს,
ღურელეფ, ვადომთხორეს,
ასე ჩქ, უდეს ვავორეთ,
ართიანც, ტყურას ვაღორენთ.
ქომორთი, ქეგმოჯინით,
მანილ ვორეთ ღდინით,
ოჯიშ "გეკომზეთ" ჭნით
შარა, სი გომითინით
ათეს რთხგნთ, ამდღა ამსერი,
ჩქ მოჭირუნა თოლსერი.
მუთუნშა ვაღრ, სარალო,
ჩქნ ბირგული დო კსერი,
ქომორთი ჯეგე მირცხით,
ტერი გორწკინი ნირსით,
ზიარ ქობჩით კზით,
ზიარ ქობჩით კზით
ქორშუდას, ჩქ მუთ გიწით.

**ჯემალ პერტაია (ტომბა)**

# “მგზნებარე” ჭაბუკობიდან “რუსთავი-2”-ის მთავარ დიასახლისობამდე (შეფინიობამდე)

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**წუთჩაფიქრება ჩასაფრებათა ავმოსურნეობისა თუ ვირეშმაკობის გასასიგრძეგანებლად:** წინამდებარე დაკვეთის მოცემულობა შორსგამიზნული გახლდათ, – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენით და სეზონის პრემიერით – **“აბესალომ და ეთერით”** გახსნასთან დაკავშირებული დღესასწაული, მათ შორის იმითაც, ვინც საოპერო თეატრის დარბაზში ვერ მოხვდა, მაგრამ ოპერის სკვერში გაიმაფშალია სული, – დიახ, ეს ცისწვდომილება უნდა გადაფარულიყო იმ სახელდახელოდ შემოჭუჭყიანებული **“აუგის”** გადაყროყინებით, რომლის მიხედვით **“ნუ, საქართველოა” და “მის ცისქვეშეთში ყველაფერი ცუდია, აქ სიდიადე ვერ აიდგამს ფეხს!”**..

მოგეხსენებათ, ჩასაფრებულთა მიერ მანამდე **“პირფანჩარა”** ნიკა გვარამიას (გაზ. **“ილორი”,** 2016 წ. 25 იანვარი) დუჟმორეული ბაგეებით ოპერა **“აბესალომ და ეთერი”** **“თრეშად”** (ნაგვად) გამოცხადდა. რაკიღა ამის მიუხედავად, საოპერო სეზონის გახსნა და ზაქარია ფალიაშვილის ჰანგების აჟღერებამ სახალხო დღესასწაულის შინაარსი შეიძინა, ამჯერად, ავმოსურნეთა ბოღმის გადმოსანთხევ სამიზნედ იქცა მაყურებლის, მათ შორის მსოფლიოში სახელგანთქმული ხელოვანებისა თუ საზოგადო მოღვაწეების დახვეწილი გემოვნება და აშკარად არამათხოვრული, არამეორადი, – ბრწყინვალე სათავისო ჩაცმულობა. ვინაიდან, ასეთი რამ ქართული საზოგადოებისთვის იქედან, **“სადაც ჯერ არს”** ნებადაურთველი მდგომარეობაა, ამ დღესასწაულით გაბოროტებული ჯოგი სიძულვილის მხრჩოლავი შემოფრქვევითა და სიწმინდეებში ჩარწყევის მცდელობით დაუხაფანგდა ეროვნულ სიხარულს: მათი ხმაბოდვების **“მტკიცებითი”** თითმიშვერები სხვა არაფერი გახლდათ თუ არა ხელოვნურად შემოთახსირებული ე. წ. უმცირესობების აგრესია და ყოვლისმკადრებლობა ქართველთა სულიერებისა და სარწმუნოების წინააღმდეგ. რაც მთავარია, ისინი თავიანთი ატლიკინებით წვრთნაშეუსმენელთა შემოვარიკებას იმგვარად გვთავაზობდნენ, თითქოს ეს საქართველოს ქუდზე კაცობის ძეგლისდება ყოფილიყოს და სხვა აზრი (ალტერნატივა), მით უფრო დადებითი დამოკიდებულება ერის მისწრაფებებისადმი, ამ ცისქვეშეთში არ არსებულიყოს.

ამ მიზნით ეს ხროვა საკუთარი ყროლადი გაჯირითებით შეეცადა იმავე ოპერის სკვერში სახალხო დღესასწაულის დანაგვიანებას. ეს ის ფეხაწყობა გახლდათ, რომელსაც თავის ნაძრახ სიცოცხლეში ორი ხეც არა აქვს დარგული.

რაც შეეხება ტელეკომპანია ”იმედზე” გამართულ განხილვას (ეკა ხოფერია, 2016 წ. 03.02. 22 სთ.), მას შემდეგ, რაც ქართულმა საზოგადოებამ, საბედნიეროდ, გაიმკაფიოვა სისხლაღმრევი მიზნები, ზემოთხსენებულ ვირეშმაკთა მხრიდან ეს იყო იძულებითი **“კეთილმოსურნეობა”** ამ დღესასწაულისადმი, რომლის აფარებით უნდა გადარეცხილიყო ჩასაფრებულ ავმოსურნეთა მხრიდან დღესასწაულისთვის მიგებებული ბოღმა და შემორწყევები. აქედან გამომდინარე, აქ არ გაკეთებულა მთავარი, არავის არ დაუგმია ქართული ღირებულებებისთვის ვინმე ნიკა გვარამიას შეყროყინება და მიმდგომლობა მშობლიურობისადმი.

ის, თუ ვინა დგას ასეთი **“ნიკაგვარამიული”** შეფასებების უკან ან ვის ახმოვანებენ დღეს ვითომ ქართული ტელევიზიები (ე. წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის I, II არხი, **“რუსთავი-2”, “იმედი”, “მაესტრო”** და ა. შ.), ამის პასუხი დიახაც რომ არის 2016 წლის 12 თებერვალს ტელესტუდია **“მაესტროს”** მესაკუთრეთა დავაში აშშ-ს საელჩოს ზესწრაფი ჩარევა და პირადად ბატონი ელჩის ხელგამოღება, როდესაც მოდავეთა შორის ევრო-ატლანტიკური რასიზმისა და დიდმპყრობლობისთვის უფრო მისაღები მხარე (ბაჩუკი კიკაბიძე, ბაია გადაბაძე) დაიბარეს, გაამხნევეს, წააქსიანეს და მხარდაჭერით გამოისტუმრეს (სხვათაშორის, არც მათთან მოდავე ძმები გაჩეჩილაძეები გახლავან ქართული ვინაობისთვის ძილფხიზელი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა).

დაზუსტდა რა აშშ-ს საელჩოს მხარდასაჭერი მხარე ტელესტუდია **“მაესტროში”**, ამას მყისვე შემოეჯავშნა ე. წ. სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სხვა **“უფლებადამცველთან”** ერთად.

აშშ-ს საელჩოს განცხადება (უჩა ნანუაშვილისა და მასთან ფეხაწყობილთა აყაყანება-თითისქნევასთან ერთად), **“დავაკვირდებითო” “მაესტროში” მიმდინარე პროცესებს”,** სინამდვილეში გახლავთ შემოვერაგებული პაროლი, რომელიც ასე ითარგმნება, – **“არასოდეს დავუშვებთ ქართული აზრის გამუხლმაგრებას საქართველოში”**-ო...

ამრიგად, დღევანდელობის მთელი **“პროგრესი”** ისაა, რომ საკუთარი ქვეყნის დასაბეზღებლად **(“ჩასაშვებად”)** ცხრა მთას იქითა ყარაყორუმს, ისპაჰანში, სტამბოლში, მოსკოვსა, ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში კი არ გვიწევს ჩასვლა, ეს **“სიამოვნება”** აქვე, ორ ნაბიჯზეა, აშშ-ს საელჩოში, რომლის ძირითადი საქმიანობა სულაც არ გახლავთ დიპლომატიური საქმიანობა, იგი ადგილზე ადამიანთა სულის კომპრაჩიკოსების შტაბად იქცა.

ცნობისთვის: კომპრაჩიკოსობა – XIII-XVII საუკუნეების ბოროტმოქმედული საქმიანობა, როდესაც მოძალადეები იტაცებდნენ ბავშვებს, ამახინჯებდნენ მათ როგორც ფიზიკურად, ასევე ცნობიერად და სულიერად, შემდეგ ყიდდნენ ჯამბაზებად ცირკის მესვეურებზე ან თავგასართობად, რომელიმე **“ელიტურ საზოგადოებაში”**. ესაა დასავლეთ ევროპაში ფეხადგმული მოვლენა.

და ერთიც: აშშ-ს **“მეურვეობა”, “მფარველობა”** და **“კეთილმოსრუნეობა”** ძალიან ჰგავს ერთ რუსულ კინოფილმს, კერძოდ, **«Покровские ворота”**-ს **(“მოსფილმი”** რეჟისორი მიხეილ კოზაკოვი, 1982 წ.), რომლის მოქმედი პირები მეტად უცნაური **“ადამიანთმოყვარეობით”** ისაქმებენ თავს: ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის ცოლი მისსავე ჭერქვეშ შემოასიძებს მორიგ ქმარს, რომელთანაც ერთად ცდილობს, **“დაიცვას”** ყოფილი ქმრის სარეცლის სიწმინდე, ღირსება, უფლება და უსაფრთხოება!..

ზუსტადაც რომ ამგვარადაა **“უზრუნველყოფილი”** ქართულ ცის-ქვეშეთში ქართველი ერის მარადიულყოფა აშშ-ს საოკუპაციო ყოველდღიურობის წიაღში.

* * *

ყოველივე თქმულის გასწვრივ ხმამაღლა და საგანგებო გახმოვანებითაა აღსანიშნი, რომ ბატონი ნიკა გვარამია, სოხუმელი, ამდენად, დევნილი კაცი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) თავს უნდა ივალდებულებდეს თავისი ოდაბადის დეოკუპაციაზე (ყოველ შემთხვევაში, დევნილთა საველე-სასანგრო მდგომარეობა იმავდროულად პასუხის-მგებლობას გულისხმობს), აქედან გამომდინარე, იგი ნებისმიერი ტრიბუნიდან ამგვარ სულისკვეთებას უნდა აღვივებდეს, – ასეთ შემთხვევაში უცნაურად ჩანს და გასაკვირიცაა, რომ **“რუსთავი-2”**-ის გენერალური დირექტორი, რომლის რწმუნების ქვეშ უზარმაზარი საინფორმაციო თუ პროპაგანდისტული არმიაა, ყველასა და ყველაფრის უფლების დაცვას იბრალებს, მაგრამ არც ერთხელ არ გამოსარჩლებიან აქ დევნილ მოსახლეობას და მათ დაჩექმილ უფლებებს.

შემთხვევით მოხდა ასე თუ ახლაც ისეა, როდესაც იგი (ნიკა გვარამია) **“თავს სწირავდა”** ეროვნული ხელისუფლების აღსადგენად?!.

ჩვენდა სამწუხაროდ, აქ პასუხი ერთია: ნიკა გვარამია ჩამოყალიბდა ქმედუნარიან და თანმიმდევრულ კომპრაჩიკოსად, რომელიც დაიგეშა იმისათვის, რათა სრულიად საქართველოში ჭეშმარიტ (ღვთივდადგენილ) ღირებულებებზე ერთიანი ეროვნული თანხმობა არ ჩამოყალიბდეს და არ დაზუსტდეს არასაყოველთაო სახალხო მიზნის ნიშანსვეტად და სვლაგეზად მისკენ, რაც ასე საჭირო და სასიცოცხლოდ აუცილებელი გახლავთ ერისა და სახელმწიფოს მარადიულ საყოფად.

ამის მიხედვით მიმდინარეობს სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლა, გაბერწება და გაშარჟება და ე. წ. **“უფლება დაცვითი”** არასამთავრობოების, ამ უპასუხისმგებლო და ქვეყნის ზურგს უკან და მის წინააღმდეგ მოსაქმიანე, უკიდურესად საეჭვო აგრესიული და უპასუხისმგებლო სიმრავლეების (თემების), მოღონიერება ქართველი ერის სიწმინდეებზე სათარეშოდ, მეტიც, ისინი დგინდებიან ეროვნული თანხმობის გზაკვალამრევად.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე **ლგბტ**-ური თემიც, **“უფლებადაცვითი არასამთავრობოებიც, გონებაშეზღუდული და სინდისწართმეული მასმედიაცა”** და ა. შ. სინამდვილეში გახლავთ გაუნათლებელი და უზნეო ორფეხა ჯოგის უტიფრობა, რომელიც ჩადგა რა ნებაყოფლობით ევრო-ატლანტიკური რასიზმის საოკუპაციო კონტინგენტის რიგებში, ტექნოკრატიული დასავლეთის წაქსიანების შესაბამისად იპიროვნებს ცილისმწამებლის, დამბეზღებლის **(“სტუკაჩის”)**, ქართული სააზროვნო წესის გამცენზორებლის, საზოგადოებისთვის ეთნოდივერსიული ყოველდღიურობის დამდგენის, სისხლამღრევის, ეროვნული ღირებულებების ყავლგასულობად გამომცხადებლისა და სიწმინდეების შემგინებლის, – ხმამაღლა ვამბობ, სახლიკაცური თანხმობის ამრევ-დამრევის, მოკლედ, ქართული მოდგმის გადამშენებელი სპეცნაზის მედღეურობას.

3. იერიში ქართულ ცნობიერებაზე და მისი ზოგიერთი თავისებურება: მკითხველი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობს ჯონათან სვიფტის უკვდავ ნაწარმოებს **“გულივერის მოგზაურობას”**, შეიხსენებს ისეთ ამაზრზენობას, როგორიცაა ეჰუს საზოგადოება ე. წ. ჰუინგმების წიაღში.

ესაა სიხარბეში, უვინაობაში, გონებრივ სისუსტეში, წინგაუხედაობაში, აგრესიულ ჯოგურობასა და ღორმუცელობაში, მეტიც, ხრწნადობაში მონებივრე სიმრავლე.

აგრესიული გლობალიზმისთვის (ევრო-ატლანტიკური რასიზმისთვის) საქართველო სწორედ ჰუინგმების ქვეყნად (რეზერვაციად) არის მოაზრებული. ამ გარემოში ნიკა გვარამია, პაატა შამუგია და მისთანანი ეფრეიტორის დონეზე განმასხვავებელი სამხრეებით დაწინაურებული მოხელეებია, რომელთა მოვალეობა იმ ხარის ან ვაცის (ე. წ. გაპონების) ცრუმოძრაობაა, რომლითაც სასაკლაოში შეიტყუებენ ნახირსა თუ ფარას.

აქ უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ ქართველობა (ქრისტესმხედრობა, გიორგიანელობა...) გახლავთ ღირებულებითა სისტემა, რომელსაც კრემლზე უფრო დაბეჯითებით გვართმევს ერთის მხრივ, ევრო-ატლანტიკური რასიზმი, მეორე მხრიდან, ასევე, მისგან მიმდინარეობს მისი უსაშველოდ გასარევლიანება და კიდევ, ყოველივე ამის გასწვრივ ვაშინგტონური საცეცებით მისი დემონიზაცია ხდება.

აქედან გამომდინარე, ევრო-ატლანტიკური რასიზმის საოკუპაციო სტრატეგიის ერთ-ერთი ქმედუნარიანი ტაქტიკა დღეს აგებულია ისეთ ეთნოდივერსიულ ილეთზე, როგორიცაა სავერაგო ცრუქველმოქმედება: **“თუ გინდა, დაამარცხო შენი მტერი, მისი შვილი აღზარდე”**-ოზე.

ამის შესაბამისად, საქართველოს ზეპურობა (ელიტა), საერთოდ საქართველოს სამოქალაქო ჯოგი (და არა საზოგადოება) ამჟამად ჩამოაყალიბა აშშ-ს (იგივე ევრო-ატლანტიკური რასიზმის) დამგეშლობამ.

ასეთი თვალგახელისთვის სასაცილო კი არა, სახარხარო ყავლგასულობაა სწავლება **“მამული, ენა, სარწმუნოება”**.

ამის მიხედვით წვრთნაშეუსმენელი თაობის დევიზი გახდა ხმაბაძვა და ამის მიხედვით დაიწყო მიმდგომლური იერიში ეროვნული სიწმინდეების წინააღმდეგ. ვიმეორებ, იქ, **“სადაც ჯერ არს”** დღის წესრიგში დადგა ქართულ ღირებულებათა და ქართველ ერს შუა სადემარკაციო ხაზის გავლება, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგებით. ამის და მიხედვით, რაკიღა ქართველობა გახლავთ ქრისტესმხედრულ, ანუ შინერს-ვაშინერსულ ღირებულებათა თანმიმდევრულობა (წესრიგი), მას მიზნობრივად აშარჟებენ, აკნინებენ, ჩვენივე ხელებით გვაუპატიურებინებენ (იხილეთ ნიკა გვარამიას წინამდებარე ხმაბოდვა ქართული მუსიკის შესახებ).

სწორედ ამიტომ, ავმოსურნის ასეთ მიზნებს დასჭირდა სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება ეროვნულ-სახალხო შინაარსის ნიშანსვეტებთან, სიწმინდეებთან, შეუგინებლობებთან, ავტორიტეტებთან და ა. შ.

ამ სახალხო ავტორიტეტების ე. წ. კრიტიკა, მათთან (მაგალითად, უწმინდესთან და უნეტარესთან) ურთიერთობის მოცემულობა არის უკიდურესად თავხედური, უტიფრული, გამომწვევი, არაკეთილმოსურნე, შემგინებლური, ჩასაფრებული და სიცრუე-ტუტუცობაზე აგებული.

ეს მიმდგომლობა მომდინარეობს ტექნოკრატიული დასავლეთის (ევრო-ატლანტიკური რასიზმის) კარნახითა და ჩვენი ნედლეულისგან კონსტრუირებული თვითმავალი ძრავებით. საამისოდ არსებობს ორგანიზებული ჯგუფი (ნიკა გვარამიული ხროვები), რომელთა ხელშიცაა მოქცეული საზოგადოებაზე საზემოქმედო მძლავრი იარაღები (გაზეთი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი), რომელიც ძირგამომთხრელობს ქართველი ერის წინააღმდეგ. იგი ყველა საშუალებით ანგრევს ეროვნული აზროვნების წესს (ფსიქიკას). უფრო მეტიც, აავადმყოფებს ეროვნულ-სახალხო სულისკვეთებას. რაც შეეხება ავადმყოფობას, ნებისმიერმა ავადმყოფობამ შეგუება და შეჩვევა იცის. აი, რა არის საგანგაშო!..

საერთოდ, საზოგადოებამ უნდა აღიაროს და გაისიგრძეგანოს, რომ საქართველოში დღეს მოსაქმიანე ე. წ. მასმედია, პირველ რიგში კი ვითომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ასახავს ქართველთა განწყობას: ერის ცხოვრებიდან თანმიმდევრულად გაძევდა კვალიფიციურობა, სიბრძნისადმი პატივისცემა. მის ადგილზე ინერგება ველური კონკურენციისა თუ ყველა წელსქვემოთა ილეთით გამდიდრების მოთხოვნილება.

იქედან **“სადაც ჯერ არს”** გარეანული (უცხოეთური) თითისქნევით გვიმკვიდრებენ ცალმხრივ წარმოდგენას უფლებაზე (ლოზუნგი ”თქვენ გაქვთ უფლება”), მაგრამ ამის გასწვრივ აიკრძალა განმარტება იმაზე, რომ იმავე უფლებისგან მოუხლეჩი გახლავთ უზარმაზარი მოვალეობა და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა!

ქვეყანას აცხოვრებენ არა მშობლიური რჯულის კანონის შესაბამისად, არამედ, თავსმოხვევად და საგანგებოდ დაქსელილი სიცრუის, ვირეშმაკობის, მყეფარობის, უსირცხვილობის, ჩამშვებლობის, სიძულვილის, გაუტანლობის, სკანდალისა და ა. შ. გარემოში.

ქართველ ერს წაერთვა მთავარი, – თვითონობის უფლება: აატირებენ – იტირებს; გააცინებენ – იცინებს; გაართობენ – გაერთობა; იგი თავად ვერაა საკუთარი თავის ვინაობად დამდგენი, ეროვნულ-სახალხო მიზნის დამზუსტებელი, ანუ ადამიანად ყოფნის მესადავე, ამდენად, თვითონ ვერ წყვეტს პირად ჭერქვეშ თუ ვინ იყოს – მწარმოებელი, მეურნე, შემოქმედი, მეცნიერი, ჭირისუფალი თუ გულგრილი. მის მაგივრად ამას სხვა და სხვაგან, ოკეანის გაღმა ადგენს. სწორედ ამიტომ, რადგანაც იგი თავად არ განსაზღვრავს თავის ვინაობა-რაობას, მას გაუბუნდოვანდა წარმოდგენა ზნეობრივ და პრაგმატულ პრინციპებზე, შეურიგდა ყმური **“მშვიდობის”** შემოჭერქვეშეთებას და მის **“ქართულად გადმოენებას”**.

ასეთმა ცდუნებამ საზოგადოება საყოველთაო ცოდვაში ჩაითრია: ის, რომ საქართველო სხვადასხვა დიდმპყრობლობათა მიერაა ოკუპირებული, კი ბატონო, სათავზარო უბედურებაა, მაგრამ ჩვენს თავს უფერო ბუმბერაზი წყრომა დაგვატყდა, _ ოკუპირებულია ქვეყნის მესადავე თაობის გონებაცა და სულიც. აქედან გამომდინარე, დღეს ქართველი ერი, ცხადია, არ ცხოვრობს ისე, რომ მისი ყოველდღიურობა გიორგიანელად შინაარსდებოდეს.

თუ ევრო-ატლანტიკური რასიზმი საქართველოში უპირატესად ქართველი ერის ცნობიერებისა და სულის ანექსიით, ასევე სასადგურო და საპოლიგონო სივრცეების მოკავებით დასაქმდა, _ ჩრდილოური, ბაქო-ანგორული (თურანული) და არმენული დიდმპყრობლობები ამგვარად ცდილობენ გარიგებას: **“ის მიწა, რაზედაც ჩექმა დავაჩნიეთ, ჩვენია, ჩვენ მოვრიგდეთ იმის გაყოფაში, რაც შეგრჩათ”.**

გასაგებია, ქართველი ერის გონითი განფენის სივრციდან სათავისო ალაფს ითხოვენ საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შემოთარეშებული აგრესორ-სეპარატისტები და თავის მხრივ, ევრო-ატლანტიკური ეთნოდივერსიის მიერ შემოწიწილებული, ასევე ქართველი ერის ნებას დაპირისპირებული, სეპარატისტული აგრესიის ახლებური სახეობა – ე. წ. არასამთავრობო თუ **“უფლებადაცვითი”** ჯოგების აულაგმაობა.

**სერგი საჯაია**

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

რაც შეეხება თვით ქალდეველებს, როგორც ცნობილია ისინი იყვნენ იბერ-კოლხები. აი, რას წერს ამის შესახებ ისტორიკოსი თედო ჟორდანია (2011, 441): **„...ქართველობას უძველესის დროითგან ახლანდელ სასომხეთში უცხოვრია და როგორც ვანის წარწერათაგან საგულისხმებელია (თუ ჭანურ-მეგრულ ენით წაიკითხვენ ამ წარწერათა), დიდი კულტურული კვალი დაუტოვებიათ იქ ქართველ ხალდებს, მაკრონებს, საღართელებს, ჭანებს და სხვა".**

ამის დამადასტურებელია ასევე გვარები **„ქალდანი", „ქარდავა"**. ტოპონიმი **„ხალდე"** (მეინვარი სვანეთში), სოფელი გუდაუთის რაიონში **„კალდახვარა"** (რესპ. კალდახორა), რაც ნიშნავს ქალდების დასახლებას, სამოსახლოს.

აქვე მოვიტანოთ ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლედან (2012, 8): **„საყურადღებოა, რომ ქალდი დღესაც ქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები.**

**„ქალდეად" ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა.**

**...სიტყვა „ქალდიდან" უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც", რომელსაც ალბათ უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.**

**სინამდვილეში „ქალდი" საერთოქართული სამყაროს, კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან" მომდინარეობს".**

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მსოფლიოს ქრისტიანთა შეკრებებს, დაწყებული ნიკეას I მსოფლიო კრებიდან (325 წ.) ყოველთვის ესწრებოდნენ კოლხეთიდან (ბიჭვინთის, ფაზისის, ტრაპიზონის) წარგზავნილი ეპისკოპოსები.

გარდა ქრისტეს კვართისა **„ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, სწორედ აქაა** [საქართველოშია] **დამალული აბრაამის კარავი და ქრისტეს აკვანი"** (იხ. ჭანტურია 2010, 34) და სხვა მრავალი სიწმინდეები, რომელთა დამსახურებისამებრ მოპოვებისათვის ჩვენი აზრით ქართველებს (ქალდებს, იგივე იბერებს, იგივე კოლხებს) სხვათა შუამავლობა არ დასჭირდებოდათ, რადგანაც იმ პერიოდისათვის ისინი თვითონვე წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას.

ჩვენი აზრით კვართი უფლისა საქართველოშია მისი აქ ჩამობრძანების დღიდან და არა გვგონია ის აქედან ვინმეს გაეტანოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იბერებს (კოლხებს) ექნებოდათ იმისი ნიჭი და უნარი, რომ კაცობრიობის ეს უდიდესი საგანძური როგორმე გადაერჩინათ (ხომ გადარჩა, მიუხედავად მრავალი თავსდატეხილი უბედურებისა ღვთისმშობლის კვართი) მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე და შემოენახათ თავიანთი შთამომავლობისათვის. ამის თქმის საშუალებას იძლევა ისიც, რომ ღვთისმშობლის კვართზე, რომელიც ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეში, გამოიხატა მაცხოვრის გამოსახულება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს.

საბოლოოდ, როგორც ეს სტატიის დასაწყისში მოციქულთა მიერ არის დადასტურებული ქრისტეს სამოსელის განაწილების შესახებ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს სამოსელის ერთი ნაწილი (კვართი) იქნა ჩამოტანილი და დავანებული მცხეთაში (იგივე მაქსონში), ხოლო სხვა ნაწილი კი ფოთში (პუდში, ფაზისში), ან კიდევ პირიქით, ქალდეველების, იგივე იბერების, იგივე კოლხების მიერ, რისი თქმის უფლებასაც გვაძლევს ზემოთმოყვანილი წყაროები და არგუმენტები.

## იერუსალიმური მალხა და ხევის მალხები

ჟურნალ "ისტორიანის" კითხვისას (ისტორიანი,ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, 10 (46), 2014 ოქტომბერი, გვ.54) წავაწყდი სტატიას, – **"მაცხოვრის წმინდა საფლავის ტაძრის ქართული "ავტოგრაფები"**. მოვიტანოთ ამონარიდი ამ სტატიიდან (გვ.55)":

**"მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქართული კვალი ადგილზე სრულიად მაინც არ წარხოცილა, იქ ალაგ-ალაგ დღესაც გვხვდება ჩინებული თუ უჩინო ქართველთა "ავტოგრაფები". აღსანიშნავია ის ხსოვნაც წარსულში იერუსალიმის ქართული თემის ძლიერებისა, რომელიც ადგილობრივი არაბების მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს. ამ ხსოვნის მდგრადობის ერთ-ერთი მიზეზები შესაძლოა ისიც იყოს, რომ სხვადასხვა გადმოცემის თანახმად, წმინდა ქალაქის მისადგომებთან უკვე მე-5 საუკუნიდან მოყოლებული არსებობდა ქართველთა დასახლება-მალხა. "მცველნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მხედარნი, რომელიც ვახტანგს განუწესებია მუნ, მუნ დასახლებულან, ენა შეცვლიათ არაბულად და იგინი ქართველნი არიან გარემოს იერუსალიმისა და არაბნი და ევფრატის არაბნიცა, აწ არაბნი იერუსალიმენნი ქართველნი არიან"** – წერდა 1757-1758 წლებში წმინდა მიწაზე მყოფი საეკლესიო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი. **"გასულ საუკუნეში ისრაელ-პალესტინის ომის შედეგად სოფელი მალხა მკვიდრთაგან სრულიად დაიცალა და ნასოფლარის ადგილზე ახლა ისრაელის დედაქალაქის თანამედროვე უბანია გაშენებული"**.

როგორც კი შევამჩნიე სიტყვა (ტოპონიმი) მალხა, მაშინათვე გამახსენდა ამ ოციოდე წლის წინ წაკითხული და შენახული გაზეთები (**"თვალთაი"**, 1996, 26, 26), რომლებშიც იბეჭდებოდა ვალერიან ფირანიშვილის სტატია. **"შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან"**, სადაც ლაპარაკია სწორედ მალხების, ამ საინტერესო ხალხის შესახებ, მაგრამ სანამ ამას განვიხილავდეთ მოვუბრუნდეთ ისევ ჟურნალ **"ისტორიანი"**-დან მოტანილ ამონარიდს.

პირველ რიგში ვიტყვი, რომ არც მალხა და არც მალხები არცერთ ენციკლოპედიაში არ არის შეტანილი, რაც ძალზედ დამაფიქრებელია, ავტორი შეწუხებულია თუ თითქმის როგორ დაიკარგა ქართული კვალი იერუსალიმში და არაფერს ამბობს თუ რა მდგომარეობა იყო მანამდის იქ.

მოვიტანოთ ამონარიდი ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან **"ქართველი ერის ისტორია"**, ტ.1, 1951წ.,გვ.191"

**"მარტო იმ საბუთით, რომ ეგრისი და მეგრელი მისი (ნ. მარრის – ნ.კ.) აზრით ძველი სატომო სახელის "ჰიბერ"-ისაგან უნდა იყოს წარმოდგარი, ნ. მარრი ამტკიცებდა, რომ იბერიად უნდა აღმოსავლეთ საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთი საქართველო, სახელდობრ სამეგრელო და მეგრელები. გამოდის რომ წმინდა ნინოს აღმოსავლეთ საქართველო კი არა, არამედ მეგრელები და დასავლეთ საქართველო მოუქცევია. განთქმული საეკლესიო მოღვაწე, იბერიის უფლისწული პეტრე ქართველიც, იბერად წოდებულიც (?-ნ.კ), ალბათ სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო და იერუსალიმში არსებული იბერთა და ლაზთა მონასტრებიც ალბათ ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდესო".**

ეს კი ჩვენს ოპონენტებს არ მოეწონებათ. პეტრეს ქართველს უწოდებენ, რაც ნონსენსია და შემდეგ **"იბერად წოდებულიც?"** პეტრეს ეპოქაში არ არსებობდა არც ქართველი და არც საქართველო. აქ ისეთ რამეებზე გვიხდება საუბარი, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

მოვიტანოთ ამონარიდი ვასილ ჩაჩანიძის წიგნიდან **"პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში"**. (მეცნიერება, 1974, გვ.32): **"მონასტერი ამ სახით როგორითაც ის დღეს არის გათხრილი, არსებობდა კეისარ იუსტინიანეს დროს. იგი ინახულა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ – იოანე მესხმა მაშინ. როცა ეს ადგილები ჯერ კიდევ არ იყო აოხრებული და ტაძარი იწოდებოდა "ლაზთა მონასტრად".**

**ნუგზარ კვაშილავა**

# საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჩხოროწყუს და ჩხოროწყუელებს შეურაცხყოფა მიაყენა!



**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი სააკაშვილის ხელისბიჭი და ყურმოჭრილი მონა რომ არის, ეს ყველამ იცის. ამას მტკიცება არ სჭირდება. ამას წყალი არ გაუვა.**

ნაცფალოსოფოსმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომელსაც **"ქართვლის დედის"** მიერ მომარჯვებული ხმალი კასტრაციის შიშს აღუძრავს, ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში განაცხადა – საკონსტიტუციო სასამართლო ერთადერთი ბასტიონია, რომელსაც ივანიშვილი ვერ მოერიაო.

**პოლიტიკურად კასტრირებული ზურაბ ჭიაბერაშვილი** მართალს ამბობს – **საკონსტიტუციო სასამართლო მართლაც "უკანასკნელი ბასტიონია", რომელშიც ნაციონალების მმართველობა დღემდე გრძელდება.**

ამ მმართველობას კონკრეტული სახე და გვარ-სახელი აქვს – **პაპუაშვილი გიორგი.**

ნაცები ყველაფერს აკეთებენ, უფრო სწორად, ყველაფერს კადრულობენ, რომ თავიანთი კადრის – პაპუაშვილის მეშვეობით საკონსტიტუციო სასამართლოზე კონტროლი შეინარჩუნონ! სწორედ ამას ემსახურება ის სკანდალიც, რომელიც ახლა პაპუაშვილმა ატეხა.

**ვითომ საკონსტიტუციო სასამართლოს რომელიღაც მოსამართლეს ძალოვანი სტრუქტურები აშანტაჟებენ და აშინებენ!**

**ვითომ ამ რომელიღაც მოსამართლის რომელიღაც ნათესავს ბიზნესის წართმევით ემუქრებიან!**

**ვითომ ეს ყველაფერი საკონსტიტუციო სასამართლოში "რუსთავი 2"-ის მიერ შეტანილ სარჩელს უკავშირდება!**

**ვითომ... ვითომ...**

პაპუაშვილი არ ასახელებს იმ მოსამართლის ვინაობას, ვისაც ვითომ ემუქრებიან, არადა, რომ დაასახელოს, ამით იმ მოსამართლის დაცულობის ხარისხს ერთი-ორად აამაღლებს, რა თქმა უნდა, თუ დასაცავი სჭირს რამე! პაპუაშვილი არც იმ მოსამართლის ნათესავის ვინაობას ასახელებს, რომელსაც ვითომ ავიწროებენ, არადა, რომ დაასახელოს, იმ მოსამართლის იმ ნათესავის დაცულობის ხარისხიც მოიმატებს, რა თქმა უნდა, თუ დასაცავი სჭირს რამე.

ამ დროს გამოდის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი და აცხადებს, არც ჩემზე და არც ჩემს ნათესავ-ახლობლებზე არანაირი ზეწოლა არ ხდება და არც იმის შესახებ მსმენია რამე, რომ ჩემს რომელიმე კოლეგას ემუქრებიანო.

გამოდის საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი მოსამართლე **მერაბ ტურავა** და ამბობს:

***"წელიწადნახევრის მანძილზე, რა პერიოდშიც საკონსტიტუციო სასამართლოში ვმუშაობ, პირადად ჩემს მიმართ ასეთ ზეწოლებს, შანტაჟს ადგილი არ ჰქონია. ჩემს კოლეგებთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან, არც ინდივიდუალურ საუბრებში, არც კოლეგიალური შეხვედრების დროს, არასდროს ჩემი თანდასწრებით საუბარი არ ყოფილა არცერთ ფაქტზე, გარემოებაზე, პიროვნებაზე, რომლის მიმართ შეიძლებოდა ზეწოლას ჰქონოდა ადგილი".***

ერთადერთი, ვინც პაპუაშვილს კვერს უკრავს, არის მისი მოადგილე **კონსტანტინე ვარძელაშვილი** – ასევე ნომრიანი ნაცი, რომელიც ადრე **ადეიშვილის მოადგილედ** მუშაობდა.

ე.ი. არსად ჩანს მოსამართლე, რომელსაც ემუქრებიან, არსად ისმის, რა სახის მუქარას აქვს ადგილი, თუმცა, სკანდალი აგორებულია და საკონსტიტუციო სასამართლოს თემა ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის.

**და რის საფუძველზეა ატეხილი ეს სკანდალი?**

**მხოლოდ და მხოლოდ პაპუაშვილის ზეპირი განცხადების გამო!**

თურმე მთელი საქართველო სიტყვაზე უნდა ენდოს პაპუაშვილს – გულმოდგინე ნაცს, რომელიც დღემდე სააკაშვილის ბრძანებებს ემორჩილება!

**რას ლაპარაკობთ, პაპუაშვილი მუცლითმეზღაპრეობას და პროვოკატორობას როგორ იკადრებს?!**

**პაპუაშვილს ისეთი უმწიკვლო რეპუტაცია აქვს, რომ მის სიტყვებში ეჭვის შეტანა როგორ შეიძლება?!**

თითქოს ეს ის პაპუაშვილი არ იყოს, რომელიც ბათუმში **როლანდ ბლადაძისათვის** უკანონოდ წართმეულ ბინაში ცხოვრობს და ამის გამო სინდიდიც არ ქენჯნის!

**ეს ცირკიც, რაც ახლა პაპუაშვილმა მარგველაშვილის ხელშეწყობით გამართა, ერთადერთ რამეს ემსახურება – ქვეყანაში წინასაარჩევნოდ ისტერიული პოლიტიკური ფონი შეიქმნას და ხალხში გაჩნდეს განცდა, რომ "რაღაც ისე ვერ არის"!**

**ეს ცირკი ემსახურება ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნას! ყოველ შემთხვევაში, ამის იმიტირებას მაინც!**

**ეს ცირკი უფრო "გარე მოხმარებაზეა" გათვლილი – საერთაშორისო წრეებს უნდა დაანახვონ, რომ ხელისუფლება აკრძალული მეთოდებით იბრძვის.**

**საბოლოო ჯამში, ეს ყვლაფერი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლო თამაშია.**

**ამას ყველა ხვდება.**

პაპუაშვილი კი იმასაც არ კადრულობს, რომ პროკურატურაში მივიდეს და გამოძიებას ახსნა-განმარტება მისცეს, ინფორმაცია მიაწოდოს!

საინტერესოა, პროკურატურამ კარტზე უნდა იმკითხაოს თუ ყავის ფინჯანზე?!

გამოძიებამ სიმართლე როგორ უნდა დაადგინოს, თუ პაპუაშვილი ჩვენებას არ მისცემს?!

თუმცა, პაპუაშვილს და ნაცებს სიმართლის დადგენა როდი აინტერესებთ!

მათთვის მთავარია აჟიოტაჟი, სკანდალი, დაძაბულობა, წყლის ამღვრევა!

ამღვრეულ წყალში კი თევზის დაჭერა ნაცებს რომ ეხერხებათ, მოგეცათ ლხენა!

**პაპუაშვილი, ყველა "სიკეთესთან" ერთად, უტაქტო და უზრდელიც ყოფილა.**

**მან თქვა – პროკურატურაში ორჯერ გავაგზავნეთ წერილი, მაგრამ პასუხი არ გვაღირსეს, ასეთ იგნორირებას ჩხოროწყუს გამგეობაც არ გაუკეთებს საკონსტიტუციო სასამართლოსო.**

მერე მიხვდა, რაც წამოროშა და დააყოლა – **უკაცრავად, ჩხოროწყუს რას ვერჩიო!**

თუმცა, პაპუაშვილს თავიდან ზუსტად ის წამოსცდა, რაც ქვეცნობიერში უდევს – **მისთვის ჩხოროწყუ ჩამორჩენილობასთან, რეგრესთან, სიბნელესთან, უპასუხისმგებლობასთან, დაბალ დონესთან ასოცირდება!**

პაპუაშვილი ფიქრობს, რომ ჩხოროწყუში არ არსებობს სახელმწიფოებრივი შეგნება!

პაპუაშვილის წარმოდგენაში ჩხოროწყუ და ჩხოროწყუელები პაპუასები არიან!

მისი განცხადება**, ამას ჩხოროწყუს გამგეობაც არ გააკეთებდაო,** სწორედ ამას ნიშნავს და სხვა არაფერს!

თუ ასე არ არის, რატომ მოადგა ენის წვერზე მაინცდამაინც **ჩხოროწყუ?!**

ასეთ კონტექსტში საქართველოს სხვა რომელიმე რაიონიც რომ დაესახელებინა, ზუსტად იმავეს მიმანიშნებელი იქნებოდა, მაგრამ დაასახელა **ჩხოროწყუ**, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულად ჩხოროწყუზე აქვს ასეთი დაბალი წარმოდგენა!

**ეს დისკრიმინაციაა და სხვა არაფერი!**

**ეს არის პაპუაშვილის მხრიდან საქართველოს მოსახლეობის სეგრეგაცია!**

პაპუაშვილმა **ჩხოროწყუსა** და **ჩხოროწყუელებს** შეურაცხყოფა მიაყენა!

პაპუაშვილო, ის კონსტიტუცია, რომლის დამცველიც, წესით, შენ უნდა იყო, **ჩხოროწყუშიც** ისევე ვრცელდება, როგორც დანარჩენ საქართველოში და ამ კონსტიტუციით **ჩხოროწყუელებიც** ისეთივე სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც – ყველა დანარჩენი!

პაპუაშვილო, შენი წარმოდგენით **"ჩამორჩენილი" ჩხოროწყუელები** ისე უღირსად და უსინდისოდ არასოდეს მოქცეულან, როგორც ახლა შენ იქცევი!

**პაპუაშვილო, ნებისმიერი ჩხოროწყუელი ნებისმიერ სიტუაციაში გამოავლენს გაცილებით მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებას და გაცილებით დიდ პატივისცემას კონსტიტუციისადმი, ვიდრე ამას შენ აკეთებ!**

ამ ყველაფრიდან ერთადერთი დასკვნაღა გამოდის:

**პაპუაშვილი, რომელიც სახელმწიფოს მიერ უდანაშაულო მოქალაქისათვის უკანონოდ წართმეულ ბინაში ცხოვრობს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა იყოს!**

**პაპუაშვილი, რომელიც საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის დისკრიმინაციასა და სეგრეგაციას ახდენს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა იყოს!**

ამას წყალი არ გაუვა – ჩხოროწყუს, ანუ ცხრა წყაროს წყალი!

**ჯაბა ხუბუა**

*გაზეთ "ილორის" მიმართვა ჩხოროწყის რაიონის გამგებელს, ბატონ* **დავით გოგუას!**

***ბატონო დავით, თქვენ და ჩვენს ძვირფას ჩხოროწყუელებს გული არ გეტკინოთ ამ ნაძირალა პაპუაშვილის გამონათქვამზე. ხომ გაგიგიათ – "ვირისგან წიხლი რა საწყენიაო". სასიკვდილოდ განწირული ფაშისტური ნაცმოძრაობა სულს ღაფავს და ამიტომაც არ ინდობს არავის. მაგრამ არაფერი გამოუვათ და 8 ოქტომბერს სამუდამოდ დაეხსნებიან საქართველოს და ქართველებს!***

***მაგრამ დიდი სიფრთხილე გმართებს, რათა არჩევნებს არაფერმა შეუშალოს ხელი. გამართლდა ჩვენი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჩხოროწყუში საკმაოდ მაღალ თანამდებობას იკავებს პირწავარდნილი ნაცი, რომელსაც ხელეწიფება არეულობის მოწყობა. ეს ეჭვი კი აღძრა ჩვენს ერთ-ერთ პუბლიკაციაზე მისმა არაადექვატურმა რეაქციამ (ჯერჯერობით, რათა კიდევ უფრო არ დავძაბოთ ისედაც დაძაბული სიტუაცია, თავს ვიკავებთ ამ პიროვნების საჯაროდ მხილებისაგან, თუმცა პირადად თქვენ მალე გაუწყებთ მის ვინაობას). გამორიცხული არ არის, რომ ახალაიების დანაშაულებრივი კლანის ზემოქმედების წყალობით ნაცდაშნაკების საჯიროთოდ ქცეულ სამეგრელოში კიდევ იყოს სადმე მოწყობილი იარაღისა და მამხილებელი ფოტოდოკუმენტების სამალავები. ამიტომ, "ნაციონალობაში" ეჭვმიტანილებს წამით არ უნდა მოვაშოროთ თვალი, რათა მათ ვერ შეძლონ ქვეყანაში სიტუაციის არევა!***

***წარმატებებს გისურვებთ მომავალ საქმიანობაში!***

## ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

### 8 აგვისტო...

ვერანაირად ვერ ავუვლი გვერდს ამ თარიღს... მტკივა „8 აგვისტო“ და გული მეკუმშება დაღუპული თანამემამულეების გამო... დავსტირი ჩვენს ეროვნულ უბედურებას... მაინც, რატომ ვართ ასეთ უბედურ ბედზე გაჩენილები?.. არა, აშკარად თუთმაცისაგან ვართ გაზაკვეულები, თორემ როგორ შეიძლებოდა ქართველ ერს ისე აბნეოდა გზა-კვალი, რომ მამათელი ე. წ. დიდი პოლიტიკოსის, უფშვიტინე მიშას და ჭორვილელი აფერისტის სამანიპულაციოდ გაეხადა თავი?! არა, მართლაც გასაოცარია და არ გვეკადრება, ნამდვილად სამარცხვინოა ეს ათასწლეულთა ქარტეხილებს გამოღწეული კოლხიბერისათვის! მესმის, რომ დიდია წნეხი გლობალისტურ-მონდიალისტური შავბნელი ძალების მხრიდან! მესმის, რომ ფული ჯოჯოხეთს ანათებს და იმ ზემოთხსენებულ შავ-ბნელ ძალას როდი გაუჭირდებოდა აქ ე. წ. მეხუთე კოლონის ფორმირებაც, მით უმეტეს, რომ მათ ამისათვის უამრავი აპრობირებული საშუალება გააჩნიათ, მაგრამ მე მასშტაბები მაკვირვებს! მე ასე მასობრივად ზომბირებულთა რაოდენობრიობა მაშფოთებს! ლამის ჭკუიდან შემშალოს ჩემი ჯიშის და ჯილაგის სტრატეგიული აზროვნების სიბერწემ! წარმოუდგენელია, მაგრამ ქართველი ერის მნიშვნელოვან ნაწილს ნამდვილად აღარ გააჩნია უკვე უნარი – ადექვატურად მიიღოს და გაითავისოს ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრიობისათვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური იდეები! აი, ეს არის უაღრესად სავალალო და შემაშფოთებელიც!

8 აგვისტო კი, კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია ჩვენს ისტორიაში... ერთ-ერთი ფურცელი... ტრაგედიაა, რომ უცხო ზესახელმწიფოთა თუ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მტაცებლურ ინტერესებს ეწირება ჩვენი ეროვნული ინტერესები! არადა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, გეოსტრატეგიული პროცესების საღად, ადექვატურად გაანალიზების შემთხვევაში ჩვენ ნამდვილად შეგვეძლო და მწამს, რომ დღესაც კი არის შესაძლებელი გადავდგათ სწორი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები! არც გვაქვს სხვა გზა! სხვა არჩევანი ჩვენ არცა გვაქვს! არსებობს დილემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ ან გავაგრძელებთ ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებაზე ბოდვითი იდეების ტირაჟირება-დამკვიდრებას და ამით სრული ფიასკოსათვის გავწირავთ ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ან პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარებით, ყველა დაინტერესებული სახელმწიფოების და განსაკუთრებით კი, მეზობელი ზესახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, ამავე ინტერესთა დაბალანსებით გადავარჩენთ საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას... უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში, პერსპექტივაში უდავოდ ვუზრუნველყოფთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასაც!..

ვიცი, მშვენივრად ვიცი, რომ მავანთ არც ამჯერად მოეწონებათ ჩემი ეს თვალსაზრისი, მაგრამ აბა რა ვქნა – „ასე ვფიქრობ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

და ბოლოს, რა თქმა უნდა – 8 აგვისტოს ომში და საერთოდ ყველა დროში სამშობლოსათვის შეწირული ჩვენი თანამემამულეების სულები გაანათლოს უფალმა!..

და კიდევ, სირცხვილი, შეჩვენება წყევლა-კრულვა და ამქვეყნიური თუ არა - იმქვეყნიური სამართლის აღსრულება, უფლის სასჯელი ნუ მოკლებოდეთ იმათ, ვინც ჩვენი ბიჭები აქ, ჩვენს სამშობლოში, კორდონებს იქითა სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად საზარბაზნე ხორცად აქცია!..

### თანამემამულენო!

გენიალური ენათმეცნიერის, ბატონ მამანტი ძაძამიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დროს მკვეთრად გაუარესდა... მინდა გითხრათ, რომ ბევრი ვიფიქრე საჯაროდ განმეცხადებინა თუ არა ეს ყოველივე, მაგრამ ბოლოს მაინც ჩავთვალე, რომ ეს აუცილებელია, რადგან ჯერ კიდევ არსებობს შანსი გადავარჩინოთ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ადამიანი... კაცი, რომლის სახელთანაც ბევრწილადაა ასოცირებული ჩვენი უძველესი, უმშვენიერესი და უმდიდრესი მეგრული ენობრივი კულტურული ფენომენის კვლევა-გადარჩენისათვის გარჯა... დიახ, ეს უდაო ჭეშმარიტებაა და ამის უარყოფა ოდენ სულმოკლე უგუნურთ თუ შეუძლიათ!.. მაგრამ, არ მინდა ახლა სიტყვა განზე გამექცეს, რადგან ჩემი მიზანი ამ სიტუაციაში კონკრეტულია და ეს კონკრეტიკაც იმაშია, რომ ჩვენ, საზოგადოებრიობამ, შესაბამისმა სპეციფიკურმა სტრუქტურებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ მამანტი ძაძამიას ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად!.. სწორედ ამიტომ, მივმართავ ყველას... ყველას... ყველას... უწინარესად მივმართავ ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას: გენიალური მამანტი ძაძამია უმძიმესი ავადმყოფია! ჩვენი საამაყო თანამემამულის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია! ტიტანური ინტელექტუალური შრომით უაღრესად გადაღლილი და დაავადებული ენათმეცნიერის გულის ფეთქვა შესაძლებელია სულ მალე შეწყდეს!..



ახლა, აქ დავასრულებ... დაე, „საქმემან თქვენმან გამოგაჩინონ თქვენ!“

### განცხადება

მართალია ამ ტიპის განცხადების გაკეთება ინტერნეტსივრცეში და ბეჭდვითი მედიის საშუალებით წარსულში რამოდენიმეჯერ უკვე მომიწია, მაგრამ იძულებული ვარ კიდევ ერთხელ მივაპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან და პრობლემატიკურ საკითხზე... გავაკეთებ ამას ქართულ ენაზე, რადგან მაქვს შიში, რომ **"ნანაშ ნინაზე"** ანუ მეგრულ ენაზე ისტორიული ბედუკუღმართობის თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო შესაძლებელია მთლად ნათლად და გასაგებად ვერ გამოვხატო ჩემი პოზიცია... საზოგადოებრიობას შესაძლოა თავიც მოვაბეზრე უკვე პერმანენტული განცხადებებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ არ მაქვს დუმილის უფლება... რასაკვირველია არც საზოგადოებრიობას აქვს უფლება გულგრილი და ინდიფერენტული იყოს ზოგადეროვნული თუ ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემატიკის მიმართ... შევეცდები გრძელსიტყვაობით არ გადაგღალოთ და მაქსიმალურად ლაკონურად, თან მკაფიოდაც გამოვხატო თვალსაზრისი...

მაშ ასე... ახლა, რა მინდა ვთქვა:

საქმე იმაშია, რომ მეგრული იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის გარჯას აუცილებლად სჭირდება დიდი დაფიქრება, დიდი ანალიზი, დიდი გონიერება, დიდი პატრიოტიზმი და ამ ჩვენთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი და არსებობა-არარსებობის დილემის ზოგადეროვნულ, ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში დანახვა-გააზრება-გადაჭრა... ეს იმდენად აქსიომატური საკითხია, რომ ხაზგასმა უხერხულადაც კი მიმაჩნია, თუმცა, ვხედავ, რომ ამაზე აქცენტირების აუცილებლობაც ნამდვილად არსებობს... ჩვენ მართალია პრინციპულად უნდა გავისარჯოთ მეგრული ეთნოსის თავისთავადობის დასაცავად, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთიანი ეროვნული სხეულის განსამტკიცებლად და არა ბზარისა და რღვევისათვის! პირდაპირ და დაბეჯითებით უნდა ითქვას: ჩვენი გზა არის ევოლუციური გზა! ჩვენ აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერებით უნდა მოვახდინოთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება-მობილიზება! ჩვენ აუცილებლად უნდა შევსძლოთ ხალხის კონსოლიდირება გადარჩენის იდეის გარშემო და როცა ჩამოვყალიბდებით რეალურ, ანგარიშგასაწევ ძალად – აი, მაშინ ხელისუფლება-მთავრობისაგან კატეგორიულად და პრინციპულად უნდა მოვითხოვოთ საკანონმდებლო გარანტიები! აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ უმაღლეს სახელისუფლებო სტრუქტურებს ჩვენი დაცვა-განვითარების რეალური მექანიზმების შექმნა! აშკარაა, რომ მძლავრი საზოგადოებრივი ძალის კონსტრუირება-ორგანიზების გარეშე ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები და ინიციატივები ნებისმიერი ხელისუფლება-მთავრობის მიერ მომავალშიც მუდმივად იგნორირებული იქნება! ასე რომ, აუცილებელია ამ მიმართულებით ვიღვაწოთ! აუცილებელია ამ პროფილის საზოგადოებრივი მოძრაობის გასაშლელად დაუღალავად გავისარჯოთ! დიახ, ეს არის პრინციპულად სწორი გზა! დიახ, ეს არის ევოლუციური გზა! დიახ, ეს არის მართებული გზა! დიახ, სწორედ ამაში და მხოლოდ ამაშია ჩვენი ხსნა! ჩვენ არ გვაქვს უფლება პროცესების რევოლუციურად განვითარებაზე ვიფიქროთ! დიახ, რევოლუციაზე ფიქრიც კი არ უნდა გავივლოთ გულში, რამეთუ ეს საბოლოოდ დაასამარებს ჩვენი იდენტობის დაცვა-შენარჩუნების საკრალურ იდეას! ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ამგვარი პერსპექტივა, რამეთუ ეს 100%-იანი ალბათობით ბოლოს მოუღებს არათუ კოლხურ-იბერიულ ერთიანობას, არამედ, ერის როგორც ასეთის – პოპულაციასაც კი! ასე რომ, რევოლუციაზე მინიშნებაც კი დამღუპველია და კატეგორიულად მიუღებელი!.. გამომდინარე აქედან, ამისკენ პოტენციურად მიდრეკილ პერსონებს, თუკი ასეთები ბუნებაში მაინც არსებობენ – დაბეჯითებით მოვუწოდებ თავიდან ამოიგდონ ეს უკეთურება!.. და, თუ, ეს მოწოდება იგნორირებულ იქნება ვინმეს მხრიდან – მაშინ აპრიორი ვაცხადებ, რომ საღად მოაზროვნე პატრიოტული ძალები ვიტოვებთ უფლებას ჩვენი მხრიდან ეს ყოველივე დაკვალიფიცირდეს ვათანძარა მარგალოფობების მიერ ინსპირირებულ მზაკვრულ პროვოკაციად!..

და, ბოლოს:

იმედი მაქვს ამ ჩემი განცხადების შინაარსი თუ ქვეტექსტი ადექვატურად იქნება გააზრებული... რომ, კიდევ ერთხელ არ გავხდები მორიგი და ამაზრზენი ინსინუაციების მსხვერპლი!..

უფალი ფარავდეს მარგალონას და სრულიად საქართველოს!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“**
**ზუგდიდის ორგანიზაციის**
**ხელმძღვანელი**

## საქართველოში უმუშევრობის დონემ 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია

სტატისტიკური მონაცემები ღაღადებენ, რომ წინა წელთან შედარებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.0 % შეადგინა. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელის თანახმადაც, 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2014 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.0 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

მართალია, არიან ქვეყნები, სადაც უმუშევრობის დონე 1 პროცენტზე ბევრად ნაკლებია, მაგრამ ფაქტია, რომ მთელ პლანეტას დღეს უმუშევრობის სინდრომი აზანზარებს!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2015 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 67.8 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე – 1.4 პროცენტული პუნქტით.

წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე გაზრდილია 2.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 0.8 პროცენტული პუნქტით, წინა წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 0.5 პროცენტული პუნქტით.

საქსტატის ცნობით, ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 8.8 პროცენტით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა პირიქით 2.7 პროცენტით შემცირდა, რის შედეგადაც დასაქმებულებში დაქირავებულთა წილი 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

მათივე ინფორმაციით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 2015 წელს 2014 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის შემცირება დაფიქსირდა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად, 21.5 და 4.8 პროცენტი შეადგინა. ამასთან, ქალაქად უმუშევრობის დონემ მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია ბოლო 15 წლის, ხოლო სოფლად – ბოლო 9 წლის მანძილზე.

საქსტატის ცნობით, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია მხოლოდ შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში, შესაბამისად, 0.8 და 0.7 პროცენტული პუნქტით. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 1.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

„დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც ქალებში (0.2 პროცენტული პუნქტით), ასევე კაცებში (0.5 პროცენტული პუნქტით) და შესაბამისად 10.2 (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 15 წლის მანძილზე) და 13.5 პროცენტი (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 11 წლის მანძილზე) შეადგინა. ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 41.1 და 21.9 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით, ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საქსტატის ცნობით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, აქტიურობის დონე ქალებში გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში 0.7 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად, 58.9 და 78.1 პროცენტი შეადგინა.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით ქალებში დასაქმების დონე გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში 1.0 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად, 52.9 და 67.6 პროცენტი შეადგინა.

„უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2015 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (32.0 პროცენტი), რაც 1.5 პროცენტული პუნქტით მაღალია 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება, – ნათქვამია საქსტატის ინფორმაციაში.

ფაქტია ისიც, რომ დასაქმებულთა ჯგუფის რიცხოვნობას დიდად ამცირებს თვითდასაქმებულთა რიცხვი, მაგრამ თუ ეს ადამიანები ახერხებენ სარჩოსათვის საჭირო თანხის გამომუშავებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გაძლებენ იმ დროის განმავლობაში, რაც მათ სახელმწიფო ან ბიზნესტრუქტურებში ჩანერგვას დასჭირდება! მართალია ნაციონალები ბევრს ყაყანებენ მაზე, რომ ჩვენი წასვლის შემდეგ ქვეყანა ჩამოიშალაო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ციფრები და ფაქტები საპირისპიროზე მიუთითებენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდება.



## საამო პროზაული აზრთათქმა

### დიდებულ რელიგიურ დღესასწაულზე ნანახი და განცდილი!

15 ივლისს, ზუგდიდში ვლაქერნობის – რელიგიური ყოველწლიური დღესასწაულის ჩატარებისა და მასთან დაკავშირებით, სამხარეო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სპეციალური საცავიდან ღმრთისმშობლის ყოვლადწმინდა შესამოსელის ზუგდიდში ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ახალნაგებ დიდებულ საკათედრო ტაძარში ერთი დღით განსვენების ჟამს, ცაზე მოთეთრო-მოშავო ღრუბლები მალი-მალ ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს არეულად: კვლავ უეცარი გაავდრება იყო მოსალოდნელი... მაგრამ თავაწყვეტილი სტიქიონის ავბედით ქადილს წამითაც არ დაუბრკოლებია სასწაულ ქრისტიანულ სიწმინდესთან მიახლოების უსაზღვრო სურვილით აღტკინებული მომლოცველები: ადგილობრივი მცხოვრებნი, სამეგრელოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, ასევე მოსაზღვრე იმერეთიდან, ზემო სვანეთიდან, გურიიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან ჩამოსული მართლმადიდებელი ქართველები, რუსები, მათ შორის მშობლები თავიანთი ჩვილი და მცირეწლოვანი შვილებით, რომლებიც მსოფლიოში არსებული ერთადერთი ჭეშმარიტი, ღვთიური სამოსელის სამთხვევად, სათაყვანებლად მიიჩქაროდნენ...

ეს არაჩვეულებრივი, მადლცხებული პროცესი, მორწმუნე ადამიანთა ერთსულოვანი დინება, როგორც გასულ წლებში, იმ დღესაც დილიდან გვიან საღამომდე გრძელდებოდა ანთებული სანთლებითა და მხურვალე ლოცვით გაბრწყინებულ, მაღალგუმბათოვან ტაძრისკენ, რომლის კეთილმოწყობაც, სავარაუდოდ, ახლო მომავლისათვის მთლიანად დამთავრდება სამშობლოს მოყვარე ქველმოქმედ მამულიშვილთა ძალისხმევით.

დაე ასეთივე მიზანსწრაფვით, აღმავლობით წარმართულიყოს და ასრულებულიყოს ჩვენი ერის, განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის საკეთილდღეო ყოველი ნაოცნებარი.

**ანზორ ბარამია,**
**ჟურნალისტთა კავშირის წევრი 1967 წლიდან,**
**სამოცდათვრამეტი წლის პენსიონერი,**
**ქალაქი ზუგდიდი**

## ფონდმა „ქართუმ“ სამეგრელოს ისტორიული ძეგლების რესტავრაცია დაიწყო

ზუგდიდში დადიანების კომპლექსში ამ დროისათვის ნიკო დადიანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 2018 წელს დასრულდება. ასევე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს სენაკის თეატრში, რომელიც დაახლოებით 3 წელიწადში პირვანდელ სახეს დაიბრუნებს.

**ნიკოლოზ ანთიძე:** ნიკო დადიანის სასახლე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. შარშან დავიწყეთ და წელს უკვე გაგრძელდა ის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გულისხმობთ მთლიანად სახურავის შეცვლას, კონსტრუქციული ნაწილების გამაგრებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ჯგუფმა "ქართუმ" 2 მილიონი ლარი გამოჰყო. რესტავრაციაში მონაწილეობას იღებს ქართუ ჯგუფში შემავალი ისტორიული ძეგლების დაცვისა და გადარჩენის ფონდიც.

**ნიკო ჩხეტიანი:** კეთდება სასახლის კომპლექსური რესტავრაცია, აღდგენილი იქნება ფასადი და ასევე შენობის შიდა ნაწილი. სასახლე სრულად აღიჭურვება სათანადო გაყვანლობებით და შეასრულებს მუზეუმის ფუნქციას. ზუგდიდში კოლექცია ძალიან მდიდარია. ჩვენ გვექნება ევროპის დონის სამუზეუმო სივრცე.

დადიანების სასახლის რესტავრაცია 2018 წელს დასრულდება. რის შემდეგაც ის პირვანდელ სახეს მიიღებს.

რაც შეეხება სენაკის თეატრს, პროექტი უკვე მზადაა და, ამ ეტაპზე, მისი გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს.

**ვაჟა ილურიძე:** უკანასკნელ წლებში კონსტრუქციულად შენობის მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ამას დაემატა 2008 წლის საბრძოლო მოვლენები, როდესაც ერთი საკმაოდ ძლიერი ჭურვი თვითონ შენობასაც მოხვდა და ამიტომ საკმაოდ დაზიანდა. როგორც იტყვიან, **"ზეწვზე გადავრჩით"**...

**გიორგი უძილაური:** შესასრულებელი იყო სასწრაფო სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები, იმისათვის, რომ გადარჩენილიყო ეს მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტი. სასახლეს ფუნდამენტი უკვე გამაგრებული აქვს საიმედოდ, ამჟამად მიმდინარეობს კედლების გამაგრების სამუშაოები, პარალელურად კი დაწყებულია შიდა ინფრასტრუქტურის გამოცვლა, ეს კონკრეტულად შეეხება გათბობას, შიდა ელექტრო გაყვანილობას.

სამეგრელოს რეგიონის გარდა ჯგუფი "ქართუ" სხვადასხვა ისტორიული ძეგლების რესტავრაციას, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ხევსურეთში, სვანეთსა და ქართლში აფინანსებს. მადლობის მეტი რა გვეთქმის სპონსორებისადმი.



## ეს ტრაგედია ჭკუისსასწავლებელი უნდა იყოს ყველასათვის!

8 აგვისტო არის დიდი ტრაგედიის, ტკივილის და დიდი სირცხვილის დღე...

იყო ომი, რომელიც ხელს აძლევდა ყველა ჩვენს არაკეთილისმსურველს. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და ცხინვალი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, სეპარატისტებმა დამატებით წაგვართვეს კოდორი და ახალგორი, წერტილი დაუსვეს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას. ამერიკამ, რომელიც არასოდეს ისურვებდა, რომ საქართველოს გამო რუსეთს დაპირისპირებოდა, როგორც იქნა გამოთხარა იმის საფუძვლიანი მიზეზი, რომ საქართველო ნატოში ვეღარასოდეს გაწევრიანდეს, სასაცილოდ დამთავრდა რუსეთის იზოლაციაში მოქცევის მცდელობის ევრო-ამერიკული მცდელობა და შექმნეს იმის წინაპირობა, რომ საქართველო, ქვეყანა მასონური ძალების მიერ რუსეთისათვის გამართულ ომში საომარი პლაცდარმი და საზარბაზნე ხორცი იქნება.

საქართველოს ხელისუფლება? უვიცი და მოღალატე გამოდგა!

სომხურ-დაშნაკურ პროვოკაციაზე „წამოგებულმა“ ნაციონალთა ავადსახსენებელმა ხელისუფლებამ პირობითი სადემარკაციო ხაზის გადაკვეთა, სადაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სამშვიდობო მანდატი ჰქონდათ (მამუკა ყურაშვილის რეგვნული, პოპულისტური განცხადება პიდაპირ ეთერში: **“ვიწყებთ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას”**) და ღამით **“გრადებით”** დაბომბა მძინარე ქალაქი ცხინვალი.

სამარცხვინო და მოღალატეობრივი იყო პრეზიდენტად წოდებული დაშნაკი არაკაცის მიხეილ სააკაშვილის საქციელი – გორში სტუმარი – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი რომ მიატოვა და მიწაზე იფორთხა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა იყვნენ ორმაგი აგენტები, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე რუსეთის სპეცსამსახურებისა (სააკაშვილის ბიძა – თემურ ალასანია, **კგბ-**ს გენერალი, მისი შუამდგომლობით რუსეთს გადაეცა უამრავი სტრატეგიული ობიექტი), უპატრონოდ მოტოვებული დემორალიზებული არმია, რომლის მანევრებს გიგი უგულავა და მერაბიშვილი ხელმძღვანელობდნენ (თავდაცვის მინისტრი, იმ დღეებში, საქართველოში საერთოდ არ ჩამოსულა), 2 დღეში სამარცხვინოდ წაგებული ომი, დაბომბილი საქართველოს მიწა, ჩახოცილი, უპატრონოდ მიგდებული ქართველი მეომრები (რომელთა ცხედრების გამოსვენება პატრიარქმა ითავა) და ამ დიდ სამგლოვიარო, ტრაგიკულ ჟამს სამარცხვინო ტაშ-ფანდურა თბილისში. იყო გმირობის მაგალითები, გამოვყოფდი ტირძნისის ბრძოლის 17 მონაწილეს, გმირებს, რომელთაც ბოლომდე იომეს, ვინც ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩიეს (მათი ძეგლის დადგმაა საჭირო – ასეთთა მაგალითებზე უნდა იზრდებოდენ თაობები)!..

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამგვარი ტრაგედია აღარ განმეორდეს! მოვუხმოთ ჭკუას, თავი დავანებოთ რუსეთთან საომარ რიტორიკას და ჩავრთოთ დიპლომატია და პოლიტიკა! ყველა ვინც საომარ რიტორიკას ირჩევს, ნებით თუ უნებლიეთ, სამშობლოს სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის, ერის არსებობას საფრთხეს უქმნის და წყალს ასხამს მასონურ-ლიბერასტული ამერიკის ინტერესებზე! გეოპოლიტიკა, ჩვენს ირგვლივ, ჩვენდა სასიკეთოთ არ იცვლება!

ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ!

კიდევ ერთი ომი რუსეთთან კიდევ დამატებით დაკარგული ტერიტორიაა, დამატებითი მსხვერპლი, დანგრეული ინფრასტრუქურა და ეკონომიკა – საერთო ჯამში, ხრამში გადაჩეხილი ქვეყანა, რომლის ტერიტორიებზეც სხვა მეზობელ ქვეყნებს აქვთ თვალი დადგმული! დიდებული ქართველი ერის გადარჩენისათვის საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ (უცხო ქვეყნის აგენტებს და პროვოკატორებს არ ვგულისხმობ) საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ითავოს! ნუ ავყვებით ქვეყნისთვის დამღუპველ ამერიკულ პროპაგანდას და შევწყვიტოთ რუსეთთან საომარი რიტორიკა!

ნუ ჩავერევით სუპერსახელმწიფოების დაპირისპირებაში ნურცერთის მხარეზე და ქვეყნას საომარ პოლიგონად ნუ ვაქცევთ! დიდება საქართველოს!

გვფარავდეს ღმერთი!

**გიორგი (გიგა) ჭელიძე**
**ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის მაგისტრანტი, საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობის დამფუძნებელი**

## როლანდ ახალაია უზენაესმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის საკასაციო საჩივარი და საქართველოს პარლამენტის წევრი როლანდ ახალაია დამნაშავედ ცნო.

თხებთან ურთიერთობაში სიყმაწვილიდანვე გაწაფული როლანდ ახალაია თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 20 მარტს გაამართლა. საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა, რის შემდეგაც პროკურატურამ უზენაეს სასამართლოს მიმართა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულად გაიზიარა როგორც ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტები, ასევე საქმეზე პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და მათი საკმარისობა, რომელთა შეჯერებით, უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ როლანდ ახალაიამ გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის უფლებამოსილებას, პატიმრობიდან გათავისუფლებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, კანონის გვერდის ავლით, ორ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირების ოჯახის წევრებს, დიდი ოდენობით თანხა უკანონოდ ჩაარიცხინა კერძო ფირმის ანგარიშზე. კერძოდ, 2009 წლის დეკემბერში სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე ყოფნისას როლანდ ახალაიამ მსჯავრდებულ კახაბერ ლატარიას მეუღლეს მარინე ესებუას, მეუღლის თავისუფლების სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების პირობით, უკანონოდ მოსთხოვა არარსებული „ანაკლიის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე 150 ათასი ლარის ჩარიცხვა და გადასცა საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, მაშინ როდესაც ეს ანგარიში რეალურად წარმოადგენდა კერძო კომპანია „სანის“ საბანკო ანგარიშს. მარინე ესებუა დათანხმდა შეთავაზებულ პირობას და მეუღლის გათავისუფლების სანაცვლოდ, მისი მეგობრის მეშვეობით აღნიშნული თანხა შეიტანა როლანდ ახალაიას მიერ მითითებულ შპს „სანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც სრულად იქნა გახარჯული ფირმის მიერ, საკუთარი კომერციული მიზნებისთვის.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის დეკემბერში როლანდ ახალაიამ იგივე ხერხით, ალექსანდრე ტყებუჩავას, ზურაბ ხარგელიას და დავით კაჭკაჭიშვილის ბრალდების საქმეზე, მათი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, თითქოსდა საპროცესო შეთანხმებისათვის საჭირო ჯარიმის გადახდევინებისათვის, ბრალდებულის ოჯახის წევრებს უკანონოდ შეატანინა 60 ათასი ლარი შპს „სანის“ ანგარიშზე, რომელიც ასევე სრულად იქნა გახარჯული შპს „სანის“ მიერ კომერციული მიზნებისთვის.

აღნიშნული ქმედებებით როლანდ ახალაიამ გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც მოქალაქეთა უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. უზენაესმა სასამართლომ როლანდ ახალაია დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი დამოუკიდებელი ეპიზოდის ჩადენაში და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 30 ათასი ლარის ოდენობით. მასვე 2 წლითა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა რაიმე თანამდებობის დაკავების უფლება, – ნათქვამია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში კატასტროფები და კატაკლიზმები მეორდება

***ფიქრები ქართული ენერგეტიკის შესახებ***

არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს მართავენ. მათი განცხადებით, ნენსკრაჰესის, ხუდონჰესისა და სხვა დიდი ჰესების მშენებლობას გარემოსთვის ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა მათ პროტესტს პროვოკაციად მიიჩნევს, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის ეკონომიკის წინააღმდეგ საბრძოლველად არიან მომართულნი, გაუგებარია მოსახლეობას რატომ სჯერა მათი განცხადებებისო. „პროტესტანტებს“ თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად, არაერთხელ მოუყვანიათ ენგურჰესი, რომლის მშენებლობა-ექსპლუატაციამაც თურმე დააქცია საქართველო. „ხშირად მოისმენთ, ენგურჰესმა დაღუპა სვანეთი, ტენიანობის მატებასთან ერთად, სხვადასხვა დაავადებებმაც იმატაო, მაგრამ იმას არ ამბობენ, რამდენი სიკეთე მოგვიტანა ამ უნიკალურმა ჰესმა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს“, აცხადებს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა.

– ენგურჰესმა დღემდე ათ მილიარდ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, ეს იცით რამდენი შეშის, გაზის, მაზუთის, ქვანახშირის დაზოგვაა, რომელთა წვაც მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს. ენგურჰესი რომ არ გვქონოდა, გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, ენერგეტიკა ხომ მაინც გვჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველომ ძალზე დიდი სარგებელი მიიღო, გული იმაზე მტკივა, რომ ჯეროვნად არ ხდება ამის შეფასება. სამწუხაროდ, ჩემმა თაობამ ვერ მოვახერხეთ ამ პროექტში ჩადებული ყველა გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანა, იმიტომაც ხდება ეს ჰესი ასე ვთქვათ, კრიტიკის საგანი, ანაკლიის მიდამოებში ნაპირი ირეცხება, ზღვა მიწას ჭამს და პლაჟები ინგრევა. მდინარე ენგურს ჰესის გამო, ინერტული მასალა (ქვა-ღორღი) აღარ ჩააქვს, რომ გამაგრდეს ზღვის ნაპირიო. ალბათ მკითხავთ, რატომ წინასწარ არ გაითვალისწინეთ, ეს რომ არ მომხდარიყოო. გავითვალისწინეთ, ოღონდ ის კი არა, როგორ ჩავყაროთ კაშხლიდან ამოღებული ქვა უკან, არამედ როგორ შეგვევსო იმ მასალის დეფიციტი, რაც კაშხალმა გადაკეტა.

დეფიციტის შევსების შემდეგი მეთოდი შევიმუშავეთ, ჩავატარეთ ცდები 3 კმ-იან უბანზე, 40 კმ-იან უბანზე და არაჩვეულებრივი შედეგები მივიღეთ, რომელიც პრაქტიკულად ნულოვან დანახარჯს უტოლდება. ჩვენი პროექტის მიხედვით, ერთი კილომეტრი სიგრძის ნაპირის დაცვა, 40-დან 50 ათას მანეთამდე ჯდებოდა, ეს ენგურჰესის ტარიფში შესული ისეთი დაბალი მაჩვენებელია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. სანამ ენგურჰესი გაიშვებოდა, იგივე ენგურის კალაპოტიდან უნდა მოგვეპოვებინა ინერტული მასალა, რომლის შემავსებლები 120 მმ-მდე ზომის იქნებოდა, რადგან პლაჟი წვრილი ქვით უნდა დაიფაროს.

ეს მეთოდი მთლიანად ქართველების შემუშავებულია, იყო ასეთი ორგანიზაცია „ნაპირების დაცვა“, მან გამოწერა რეცეპტები, რაც ჩემმა ინსტიტუტმა („ჰიდროპროექტი“) პროექტში გადაიტანა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდის არეულობამ, ეკოლოგიური მოძრაობის გამწვავებამ და ა.შ. ამის განხორციელების საშუალება არ მოგვცა, ფაქტობრივად არ გაგვაკეთებინეს, შუა გზაზე მივატოვეთ და მას შემდეგ ინტენსიურად ირეცხება ზღვის ნაპირი. არის კიდევ მეორე საკითხი, რომელიც ვერ მოგვარდა, კაშხლის ქვევით ტერიტორიაზე, ანუ ქვედა ბიეფში უსაფრთხოების პროცესები ბოლომდე არ არის მიყვანილი, როდესაც დადგება კაშხლიდან კატასტროფული ხარჯების გადმოშვების პერიოდი, ეს მართული პროცესია, თოვლის დნობისა და კოკისპირული წვიმების დროს უნდა გახსნა ფარები და წყალი გაუშვა. ამ კატასტროფული ხარჯების სიდიდეც დადგენილია და მისი გავრცელების ზონაც, გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ ამ ზონაში ყველა სახის კატასტროფის აღკვეთა იყო პროექტში ჩადებული, ეს გამორიცხულია. კატასტროფა იმიტომ ჰქვია, რომ არაპროგნოზირებადია, მაგრამ, რაც პროგნოზირებადი იყო, ყველაფერი გავითვალისწინეთ. ამას ჭირდებოდა უსაფრთხოების ღონისძიებები: სანაპიროს დაცვისთვის გამაგრებითი სამუშაოები, წყალმომარაგების, ხიდების დაცვის და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომ მოსახლეობის არეალში არ გავრცელებულიყო კატასტროფული წყალმოვარდნებით გამოწვეული ცუდი შედეგები. ეს ვერ გავაკეთეთ, ვერ ავითვისეთ ამისთვის გამოყოფილი თანხები, აგრეგატების გაშვება და სხვა სამუშაო უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, ვფიქრობდით მოითმენსო, მაგრამ მერე დაინგრა საბჭოთა კავშირი და დარჩა ასე. აქვე ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო, შავი ზღვიდან ენგურის ზედა წელზე ამოდიოდა ზუთხი ქვირითის დასაყრელად, ჩემი ბავშვობის პერიოდში და მერეც, ენგურჰესის მშენებლობაზე რომ ვმუშაობდი, უამრავი ზუთხი დაგვიჭერია. კაშხალმა ესეც გადაკეტა. პროექტში მისი კომპენსაციაც გავითვალისწინეთ და კოდორში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) თევზსაშენი ქარხანა ავაშენეთ (1975-80 წლები) ენგურჰესის ხარჯზე, რომელიც იმ პერიოდში ზუთხის 300 მილიონ ლიფსიტას იძლეოდა, მანამდე არასდროს ყოფილა ამ რაოდენობის ზუთხი შავ ზღვაში. 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ ესეც გაუკეთებელი დარჩა. დილეტანტი ადამიანი ამას რომ უყურებს, ფიქრობს, რად მინდოდა ენგურჰესი, თევზიც მოსპოო. ადამიანი ავად რომ ხდება, წამალი თუ არ მიეცი, შეიძლება იცოცხლოს, მაგრამ ვერ განიკურნება, ჩვენ ეს „წამალი“ არ მიგვაცემინეს და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ჰიდროენერგეტიკა საქართველოს ბუნებას აჩანაგებს, არ გვინდა ჰესები, მითუმეტეს ასეთი გიგანტებიო. ყველა საკითხი თავიდან ბოლომდე მეცნიერულად არის შესწავლილი და გაანალიზებული, ყველაფრის მოვლა-პატრონობა შეიძლება, მთავარია სახელმწიფო დონეზე იყოს ამის სურვილი.

მუდმივად აქტუალურია ელექტროენერგიის ტარიფების საკითხი. ტარიფებს იმიტომ ვადგენთ, რომ ეს არის ამ შემთხვევაში ელექტროენერგიაზე დახარჯული სახსრების მოსახლეობიდან ამოღების ფორმა, რომ იმუშაოს იმ ორგანიზაციამ რომელიც ექსპლუატაციას უწევს ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებს. ყველა ზემოხსენებულის ტარიფებში ჩადებით და გათვალისწინებით, ეს საკითხები რეგულირებული ხდებოდა, არავის ხელის შემყურე არ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ პოსტკომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, სამაგიეროდ ის გააკეთა, რომ კორუფციის შემადგენელ ნაწილად აქცია, რომლითაც ფული „კეთდებოდა“, მე შენ ამას არ გადაგახდევინებ, სამაგიეროდ ფული დადეო. ეს რეალობა დღეს ძალიან ძვირი უჯდება საზოგადოებას, რადგან ის იმას კი არ ხედავს, რომ მავანთ პიროვნულად ან ადამიანურად დააშავეს რაღაც, არამედ მეცნიერების და მიმართულების უარყოფით მაჩვენებლებს ხედავენ, რითაც ხაზს უსვამენ ჰიდროენერგეტიკა არ გვინდა, საქართველოს ღუპავსო.

**– ბატონო ანზორ, ენგურის მიერ ჩამოტანილი ქვა-ღორღი ფაქტია, კაშხალს მიღმა ვეღარ გამოდის, მაგრამ სადღაც ხომ რჩება. თუ ხდება მდინარის კალაპოტის გაწმენდა, რომ ისეთი ტრაგედია არ მოხდეს, რაც გასულ წელს დედაქალაქში დატრიალდა, მით უმეტეს, რომ მასშტაბები გაცილებით დიდია.**

– ეს ინერტული მასალა კაშხლის უკან მდებარე წყალსაცავში ილექება, დალექვის ინტენსივობაც შეფასებული გვაქვს – 170 წლის განმავლობაში წყალსაგდებების დონემდე შეივსება, 310 წლის განმავლობაში კი მთლიანად ამოივსება წყალსაცავი ამ მასალით. ასე რომ, ძალიან დიდი პერიოდი გვაქვს დარჩენილი, ეს რომ არ მოხდეს, მაგრამ დამშვიდების უფლება მაინც არ გვაქვს. ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, არსებობს უამრავი ხერხი, რომ ტრაგედია თავიდან ავიცილოთ და სარგებელიც მივიღოთ. ეს ინერტული მასალა, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი სამშენებლო მასალაა, მათ შორის ნაპირის გასამაგრებლად, სოფლის მეურნეობაშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მიწის სასუქად. მდინარის ჩამოტანილ მასალაში საკმაოდ არის ძვირფასი და იშვიათი ლითონები, ოქრო, ვერცხლი, ტიტანი, ნიკელი, ვოლფრამი, შეგვიძლია ეს ყველაფერი გამოვიღოთ იქიდან და ფულად ვაქციოთ. პროექტში ესეც გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნგრევამ, ეს საკითხიც გადაუწყვეტელი დატოვა. ახლა ჩვენ ენგურის წყალსაცავის გარკვეულ დონემდე ამოვსების საწყის ეტაპზე ვართ, ანაკლიიდან შავი ზღვა გვიტევს, მოგეხსენებათ, იქ ღრმაწყლოვანი პორტი შენდება და ზღვის აგრესია უფრო იმატებს. ჩვენი შეფასებით, ყოველწლიურად 5 ჰექტარი მიწა მიაქვს ზღვას, რადგან ის „კვება“ არ აქვს, რაც მანამდე ჰქონდა, ამიტომ ეს „კვება“ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. დღეს დამატებით სხვა პროცესიც მიმდინარეობს, ენგურის ქვედა ბიეფში მდინარის კალაპოტის დონის აწევა ხდება, რადგან მას არ აქვს იმის ძალა, რომ კაშხლის ქვემოთ არსებული ხევების და პატარა მდინარეების მიერ ჩამოტანილი შავი ზღვამდე გაიტანოს. ეს ჩამოშვავებული ნაკადები გზადაგზა რჩება და ენგურის კალაპოტს ავსებს. სანამ კაშხალი აშენდებოდა, 700, 800 და 1000 კუბმეტრი შავაი ისე გაივლიდა ენგურზე, რომ კაციშვილი ვერ გებულობდა, ახლა საკმარისია სამასმა კუბმა გაიაროს, რომ მოსახლობას აზარალებს, იტბორება ყანები, სახლები და ეზოები, იხრჩობა შინაური ფრინველები და პირუტყვი. დღეს უკვე ისეთი რეალობის წინაშე ვდგავართ, რომ კაშხლის ზემოთაც და ქვემოთაც სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ღონისძიებები, რაც ნიშნავს მდინარის მიმდებარე ტერიტორიების დაცვას, ანუ მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სხვა მეურნეობრივი საქმიანობის დაცვას. თუ ენგურის ქვედა ბიეფის ნორმალური ექსპლუატაცია არ მოხდა და ამოივსო მდინარის კალაპოტი, წყალდიდობისას შედეგად წამოსული ნაკადები ყველაფერს წალეკავს. მდინარე ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, ამოვიღოთ მისი ჩამოტანილი ინერტული მასალა, ჯერ ერთი, რომ დატბორვის საფრთხე მოიხსნება, მეორე, ინერტული მასალა მთელ მსოფლიოში დეფიციტურია, ჩვენ კი ამ მასალით და შესაბამისად სამშენებლო მასალებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ვართ, რადგან საქართველო ვულკანური წარმოშობის ზონაში მდებარეობს.

ეს მასალა ენგურის კალაპოტში დიდი რაოდენობით დევს, მხოლოდ ამოღება უნდა. ჩვენ თავის დროზე შესწავლილი გვქონდა ანაკლიის, რუხის, ლიის კარიერები, სწორედ იქიდან ამოღებული ინერტული მასალებით აშენდა ენგურჰესი.

აშკარად ჩანს, რომ საქართველოში კატასტროფები და კატაკლიზმები პერიოდულად მეორდება, ხომ ვნახეთ რა ქნა გასულ წელს მდინარე ვერემ. ეს ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. კომუნისტების მმართველობისას, როდესაც ჟიული შარტავა იყო კომკავშირის ცეკას მდივანი, მას უნდოდა „მზიური“ ვერეს ხეობაში გაკეთებულიყო, შეგვკრიბა მეცნიერები, შევისწავლეთ ეს ადგილი, დავამუშავეთ თემა და ბატონ ჟიულის შევთავაზეთ, რომ ვერეზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ზემოთ ორი კაშხალი აგვეშენებინა, რომ ნაშალი მასალები დაგვეჭირა, რათა წყალდიდობას მძიმე შედეგები არ გამოეწვია. პროექტი ისე გავაკეთეთ, რომ მარტო კაშხლები კი არ აგვეშენებინა, იქვე დაგვემონტაჟებინა აგრეგატებიც, ერთგვარი საცდელი ნაგებობა ყოფილიყო, რათა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს საკუთარი თვალით ენახათ, როგორ მუშაობდნენ ეს აგრეგატები და როგორ იყენებდნენ მათ ელექტროენერგიის წარმოებისთვის. კაშხლის ამ ნაწილზე ჩვენმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ნამუშევარი, დანარჩენ ინფრასტრუქტურულ ნაწილზე „გიპროგორსტროიმ“ იმუშავა, 12 თუ 13 ტომი იყო, ეს საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა. ეს ნამუშევრები არსებობს და თუ ვინმე დაინტერესდება, დღესაც შეიძლება მათი მოპოვება. ჩვენი კვლევების მიხედვით, კატეგორიულად აკრძალული იყო იმ ზონაში ჩასახლება, ამას ჩვენ 80-იანი წლების დასაწყისშივე ვამბობდით, მაგრამ არ გაითვალისწინეს პოსტსაბჭოთა ხელისუფლებებმა. მთელი ხეობის გეოლოგიური გადაღება განვახორციელეთ, დავადგინეთ მეწყერული ზონები, საიდან რა შეიძლება მომხდარიყო და იმიტომ ჩავთვალეთ აუცილებლად კაშხლების აშენება. ეს სურათები და რუკები დღესაც არსებობს, თუ გადაწყვეტენ ვერეს ხეობის ხელახლა შესწავლას, შეუძლიათ ეს რუკებიც გამოიყენონ, შეადარონ და მაშინვე მიხვდებიან, რა ცვლილებები მოხდა 30-35 წლის განმავლობაში ხეობაში და რასთან გვქონდა მაშინ საქმე. ეს პროცესები მეცნიერულად, ინჟინრულად იმართებოდა სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ, რასაც მხარს უჭერდა მაშინდელი ხელისუფლება.

**„საერთო გაზეთი“**
**(გაგრძელება იქნება)**

# გაუნელებელი გულისტკივილი

***„ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გეღირსოს შენ გაღვიძება“!!!***
**ი.ჭავჭავაძე**

1997 წელი დგა. ქალაქ ზუგდიდის ცენტრში მაშინ წიგნების დიდი მაღაზია იყო (დღეს იმ ადგილას ორი ბანკია გახსნილი და წიგნების მაღაზია საერთოდ არ არსებობს). მაღაზიაში მე ხშირად დავდიოდი, რათა ახალი წიგნები მეყიდა. ერთ დღეს გავიგე, რომ ბატონ მამანტი ძაძამიას გამოუშვია თავისი წიგნის მეორე ნაწილი **(“სიტყვათა წარმომავლობაზე და კაცობრიობის პირველად ენაზე”)**. მივედი რა მაღაზიაში წიგნის საყიდლად, უნებლიედ კითხვა ამიკვიატდა თავში (ნეტა ამის საშუალება თუ აქვთ ადამიანებს და რა რაოდენობით იყიდება წიგნი?) მეც ვკითხე ქალბატონ ლუარას, რაზედაც გამცა მოულოდნელი პასუხი. პასუხი, რომელმაც მე უფრო დამინტერესა, დამაინტრიგა და გამხადა საიდუმლო განძთა მაძიებელი.

აი ის პასუხიც: „იცი. შვილო დავით? ამას მხოლოდ უცხოელები ყიდულობენ და კითხულობენ კიდეც! გაოგნებული არა, მაგრამ კი ვიცოდი ეს გადაცმული ვითომ **“გაეროშნიკები”**-ს არავითარი მშვიდობის დასამყარებლად რომ არ იყვნენ ჩამოსულნი ჩვენს ქვეყანაში და მას შემდეგ მეც უფრო მეტად ჩავეძიე ჩვენს ისტორიას და არა მარტო – თანაც დავიწყე **“გაეროშნიკები”**-ს თვალთვალი (ამაზე შემდეგში ვილაპარაკოთ). ასეა, ჩემო კარგებო, ნათქვამია – “ვერ გაიტან გოლს, გაგიტანენ აქეთ”. შენ არ გაინტერესებს შენი ისტორია, ჯიშისა და მოდგმის ისტორია? დაინტერესდა სხვა და კიდეც გაიტანა რაც გვებადა (მატერიალური სიმდიდრე). ისინი დღესაც დაძრწიან, მხოლოდ სხვა სახელებით, სხვა იმიჯით, კერძოდ **“ტურისტებად”**. აბა, ვინ გააკონტროლებს, ან რაში სჭირდებათ კონტროლი, ოღონდ ვინმე შემოვიდეს და ფული გაკეთდეს და არა დაგიდევენ რას. მე მშვენივრად ვიცი, რომ ჩემი წერილები იკითხება და იკითხება უფრო უცხოელების მიერ, ვიცი, აღრიცხვაზეც რომ ვარ აყვანილი. მერე ჩემი (და არა მარტო ჩემი) წერილებიდან მიღებული ინფორმაციით დიდი და შეძლებული უცხოელი მეცნიერები სტატიებსა და წიგნებზე ფულებს ღუნავენ, ჩვენ კი ყურზე გვძინავს, გვძინავს, გვძინავს!!!

მაგრამ თქვენ როგორღა გაგაგებინოთ, თუ არ ვიყვირეთ სიმართლე? სამწუხაროდ ყვირილად და ვაი-ვაგლახად გვიჯდება ამ საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაც და გაჟღერებაც, იმ პირებს, ვინც კი მუშაობს საერთო საერო საქმისთვის.

**დავით თორდია**

# მაინც სად დაატიეს ამდენი ხალხი?

ჩვენ რომ გვეგონა, ავადსახსენებელი **"ნაციონალური მოძრაობა"** სულს ღაფავდა, თურმე ისე აღორძინებულად, რომ პრაქტიკულად კონკურენტი აღარ ჰყავს. ლამის მთელი საქართველო ამოუდგა გვერდით თავქარქაშა მიხოს და მის ნაციონალებს და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მიხოს უკრაინიდან მილიონობით მხარდამჭერი ჩამოჰყვება, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ნაცების გამარჯვება "გარანტირებულია".

ასეთი ხალხმრავალი შეკრება არასოდეს უნახავს ქართველ ხალხს. და ეს მოხდა! როცა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ირაკლი აბესაძე შეხვდა თავის ამომრჩევლებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ოთარ ჩრდილელი სოციალურ ქსელში ფოტოს აქვეყნებს და აღნიშნავს, რომ ფოტოზე აღბეჭდილია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ირაკლი აბესაძისა და მოსახლეობის შეხვედრა.

„ნაცმოძის“ კანდიდატი ირაკლი აბესაძე – კრწანისში მრავალათასიან შეხვედრას მართავს მოსახლეობასთან“, – წერს ჩრდილელი, თუმცა, იგივეს სერიოზულად ამტკიცებდნენ ნაციონალები.



# ჯაბა ხუბუა: გვამების ზედამხედველი

რამდენიმე დღის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში დააპატიმრეს და წელიწად-ნახევრით **"ვირის აბანოში"** გაისტუმრეს ვანო მერაბიშვილის ერთ-ერთი თუქსუსი, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი და შემდგომში მინისტრის მოადგილედ აღზევებული შოთა ხიზანიშვილი.

ხიზანიშვილს, **კუდ**-ის ყოფილ უფროსებთან – ვაჟა ლელუაშვილთან და ლევან ქარდავასთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და **"ქართული ოცნების"** ლიდერების უკანონო ფარული მოსმენა ედებოდა ბრალად.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სააკაშვილის ბანდიტებმა ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესო სურმავა გაიტაცეს და შემდეგ მისი სახელით **youtobe.com**-ზე **"ქართული ოცნების"** წარმომადგენელთა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გამოაქვეყნეს.

გატაცებული სურმავა ნაციონალებმა ტელევიზიით გამოიყვანეს და ათქმევინეს, რომ **"ქართული ოცნების"** ლიდერების მოსმენა თავად ივანიშვილის დავალებით ხდებოდა.

ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუე იყო და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოძიებამ ადვილად დაადგინა, სინამდვილეში რა და როგორ მოხდა.

დიახ, მოწმეთა ჩვენებებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გაირკვა, რომ 2012 წლის 26 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ბექა კვარაცხელიას დაუკავშირდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი და დაავალა, მოეპოვებინა **"ქართული ოცნებიდან"** სხვადასხვა სახის ფარული მასალები, რომელთა გამოქვეყნებაც კოალიციის მიმართ საზოგადოების უნდობლობას გამოიწვევდა.

კვარაცხელიამ ხიზანიშვილის დავალება შეასრულა და მას 2012 წლის 26 სექტემბერსვე გადასცა **"ქართული ოცნების"** ლიდერების საუბრების ფარული ჩანაწერები, რომლებიც არასანქცირებულად და უკანონოდ ჰქონდა მოპოვებული.

ხიზანიშვილმა კვარაცხელიას მიერ გადაცემული დისკები სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციაში შეიტანა, რამდენიმე საათში კი კვარაცხელიას დაავალა, რომ ფარული ჩანაწერები ინტერნეტში ივანიშვილის დაცვის წევრის ბესო სურმავას სახელით აეტვირთა.

ამ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენი 4 წლის შემდეგ – 2016 წლის 28 ივნისს დადგა და, როგორც ზემოთ გითხარით, შოთა ხიზანიშვილს 1 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

თუმცა, ფარული მოსმენები და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ერთადერთი დანაშაული არ არის, რომელშიც ხიზანიშვილის შესაძლო მონაწილეობა იკვეთება.

დიახ, გამოსარკვევი და გამოსაძიებელია შოთა ხიზანიშვილის როლი იმ შემზარავ დანაშაულში, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე ჩაიდინა.

მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის მიერ ზომბირებულმა მარბიელებმა ცემით მოკლეს ორი მშვიდობიანი მომიტინგე – ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი, რომელთა ცხედრები მეტრო **"თავისუფლების მოედანთან"** მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის სახურავზე შემოდეს, აქაოდა, გაქცევის დროს ელექტროსადენებთან შეხების გამო დაიღუპნენო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის იმჟამინდელი ხელმძღვანელი შოთა ხიზანიშვილი კი სწორედ ის ადამიანია, რომელიც მაღაზიის სახურავზე გადამალულ ცხედრებთან ერთ-ერთი პირველი მივიდა და დიდი ალბათობით, დანაშაულის კვალის წაშლას ცდილობდა.

ამის მოწმე თავად გახლავართ, ძვირფასო მკითხველო!

დიახ, სწორედ მე ვიყავი პირველი ადამიანი, რომელმაც აქციის დარბევიდან მეორე დღეს – 2011 წლის 27 მაისს – მეტრო **"თავისუფლების მოედანთან"** მდებარე მაღაზიის სახურავზე ცხედრების არსებობა ფართო საზოგადოებას შევატყობინე.

2012 წლის 27 მაისს, რუსთაველის გამზირზე **"სახალხო კრების"** აქციის დარბევიდან მეორე დღეს, საღამოს საათებში, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის ოფისში ვიმყოფებოდი, რომელიც რუსთაველის 1 ნომერში, პუშკინის სკვერთან მდებარეობდა.

როდესაც შალვა ხაჭაპურიძესთან ინტერვიუს ვიწერდი, ოთახში შემოვიდა მისი ოფისის თანამშრომელი, რომელმაც გვითხრა, რომ რამდენიმე წუთის წინ მეტრო **"თავისუფლების მოედანთან"** მეგობარი შეხვდა და უთხრა, რომ იქვე მდებარე მაღაზიის სახურავზე მიცვალებულთა ცხედრები იყო დაგდებული.

ამის გაგონებაზე შალვა ხაჭაპურიძესთან ინტერვიუ სასწრაფოდ შევწყვიტე, დავავალე ხელი ჩემს კუთვნილ ფოტოაპარატს, ხაჭაპურიძის ოფისის ზემოხსენებულ თანამშრომელს ვთხოვე, გამომყოლოდა და მეტრო **"თავისუფლების მოედნისაკენ"** გავემართე.

როდესაც ადგილზე მივედით, გარემოს დათვალიერება დავიწყე და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, ვინაიდან მაღაზიის სახურავისთვის თვალის შევლება გზიდან შეუძლებელი იყო, ავუყევი კიბეს, რომელიც სახელმწიფო კანცელარიისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს.

რამდენიმე საფეხურის ავლის შემდეგ, შემაღლებული ადგილიდან დავინახე, რომ იქვე მდებარე ტყე-პარში, რომელიც რკინის მაღალი მესერით არის შემოღობილი, მოძრაობდნენ პოლიციის ფორმაში ჩაცმული ადამიანები. მათ შორის იყო სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პიროვნება, რომელშიც მაშინვე ამოვიცანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი.

პოლიციელებისა და ხიზანიშვილის საუბარი არ მესმოდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ისინი აქტიურად მოძრაობდნენ და იქაურობას ათვალიერებდნენ.

მაშინვე დავიწყე ფოტოგადაღება და ფოტოკადრში დავაფიქსირე შოთა ხიზანიშვილი.

ფოტოების გადაღების პროცესში შეუმჩნევლად მომიახლოვდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ვიღაც პიროვნება – ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც "რიხიანად" განმიცხადა, რომ პოლიციის თანამშრომელი იყო და მომთხოვა, მისთვის ფოტოაპარტი მიმეცა.

მე განვუმარტე, რომ ჟურნალისტი ვიყავი და ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდი. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელმა (თუ არ ვცდები, სახელი და გვარი მითხრა, მაგრამ ვინაიდან საკმაო დრო გავიდა, ახლა ვერ ვიხსენებ) მაინც ჩამომართვა ფოტოაპარატი და შეამოწმა, რა ფოტოები მქონდა გადაღებული.

ამ პოლიციელს მივმართე, რომ დაეძახა შოთა ხიზანიშვილისათვის, რომელიც იქვე, ტყე-პარკში იმყოფებოდა. მინდოდა, ხიზანიშვილისათვის განმემარტა, რომ პოლიციელი უკანონოდ მიზღუდავდა პროფესიულ საქმიანობას.

სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელმა ჩემი კატეგორიული თხოვნა არ შეასრულა. მან ამოიღო მობილური ტელეფონი და დაურეკა ჩემთვის უცნობ პიროვნებას, რომელსაც უთხრა – აქ არის ჟურნალისტი (დაუსახელა ჩემი სახელი და გვარი, ასევე ის, რომ ვიყავი **"ასავალ-დასავალიდან"**), ფოტოები აქვს გადაღებული და როგორ მოვიქცე, წავუშალო თუ არაო.

ჩემთვის უცნობ პიროვნებასთან დაახლოებით 10-15-წუთიანი სატელეფონო საუბრის შემდეგ პოლიციელმა დამიბრუნა ფოტოაპარატი ისე, რომ გადაღებული ფოტოები არ წაუშლია და მომთხოვა, იქაურობა სასწრაფოდ დამეტოვებინა.

მე ჩემს თანმხლებ პირთან ერთად მართლაც სასწრაფოდ დავტოვე მეტრო **"თავისუფლების მოედნის"** მიმდებარე ტერიტორია, რადგან პოლიციელებთან დავას აზრი არ ჰქონდა.

მეორე დღეს გაირკვა, რომ მაღაზიის სახურავზე მართლაც აღმოჩნდა 26 მაისის აქციის აქტიური მონაწილეების – ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ცხედრები.

ძვირფასო მკითხველო, ეს ამბავი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ – 2012 წლის 19 ნოემბერს **"ასავალ-დასავალში"** გამოქვეყნებულ წერილში დაწვრილებით აღვწერე და ქვეყნის მთავარ პროკურატურას საჯაროდ მივმართე, რასაც სტატიაში ვწერდი, გამოძიებას ჩემს ოფიციალურ ჩვენებად მიეღო!

თუმცა, **"არსაიდან ხმა, არსით ძახილი"**!

მიხეილ სააკაშვილის კაცისმკვლელი რეჟიმის მიერ 2011 წლის 26 მაისს ჩადენილი უსასტიკესი და უმძიმესი დანაშაული **"ქართული ოცნების"** ხელისუფლებას ბოლომდე და რიგიანად დღემდე არ გამოუძიებია!

დიახ, 26 მაისის საქმეზე მხოლოდ ვანო მერაბიშვილია გასამართლებული და ისიც – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით.

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის მკვლელობის გამო პასუხი ჯერჯერობით არავის უგია!

არავისთვის მოუთხოვიათ პასუხი იმაზეც, რომ ცემით მოკლული ადამიანები **"დენის დარტყმით გარდაცვლილებად"** გამოაცხადეს!

ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა, მისი ხელისბიჭი შოთა ხიზანიშვილი კი მაღაზიის სახურავზე დაგდებულ ორ გვამს ზედამხედველობდა.

პროკურატურავ, იქნებ ახლა მაინც დაჰკითხო გვამების ზედამხედველი ხიზანიშვილი და პასუხისგებაში მისცე ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის მკვლელები!

"დაშნაკცუტუნის" აშკარა წარმომადგენლის, ავადსახსენებელი სააკაშვილის ძაღლთაპირი რეჟიმის მიერ დახოცილი ადამიანების სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს! სამართალს, რომელიც კაცისმკვლელებთან და სახელმწიფო დამნაშავეებთან კოჰაბიტაციამ შეიწირა!

**ჯაბა ხუბუა**



გვამების ზედამხედველი შოთა ხიზანიშვილი

## სევდია უგრეხელიძე ქალწულობის დამადასტურებელ დოკუმენტს ითხოვს

რატომ სთხოვს კაცებს ქალწულობის დამადასტურებელ დოკუმენტს სევდია უგრეხელიძე?

საარჩევნო მარათონი ძალაში შედის და პოლიტიკური პარტიებიც და მათი წარმომადგენელბიანად კიდევ უფრო გააქტიურდნენ.

მაგალითად, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ნაცმოძრაობიდან ქალბატონისევდია უგრეხელიძე, ასე ვთქვათ, ხალხში გავიდა.

გავიდა და პირველი, რაც  გააკეთა, სამართლადამცავებს გადასცა ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე დასაჭერად!

სხვას, პრინციპში, არც მოველოდით მისგან.

ჯერ არ მოსულან და უკვე დაჭერებით დაიწყეს!

ვინმე ბატონი ხაფავა ხულიგნობის მუხლით დააკავეს საარჩევნო კანდიდატისთვის სიმართლის თქმისთვის. სევდია უგრეხელიძე კი ციხიდან სასწაულებრივად თავდახსნილ მამაკაცებს ქალწულობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სთხოვს და საარჩევნო პროცესის „კორცხელიზაციის ეშინია.

კორცხელი რა მოსატანია, ქალბატონო სევდიავ და მთელო თუ მარტივ მამრავლებად დაშლილო ნაცებო. კარგად გვახსოვს, ყოველი არჩევნების წინ 2003-დან მოყოლებული, თქვენი თარეში, დიახ, თქვენი უმოწყალო თარეში მთასა და ბარში ხელში ჯოხებით, ქვებით, დუბინკებით და ავტომატებითაც, ხალხის დაშინება და დატერორება ხან ოც ლარად ხმების ყიდვა, ხან ორ კილო ბრინჯად.

კაცმა რომ თქვას, მეტი არც ღირხართ.

ჩვენს ბრძენ თანამემაულეებს, დიახაც, ოც ლარად უღირდით ყოველთვის და ახლა რაც უნდა მეტი თანხა შესთავაზოთ, უკვე აღარავის სჭირდებით.

სევდია უგრეხელიძე ბევრს გამსახურდიას მომხრეობიდან ახსოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ ქალბატონს არ ახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ქართველების კარგად ყოფნისთვის რომ იბრძოდა გამსახურდია და მკვლელის, უზნეო, თახსირი მიშას ნაშობ პარტიას ექომაგება.

ვერ გაიგეს ნაცებმა, რომ მკვდრის აღდგინება მარტო ღმერთს შეუძლია, ხოლო ღმერთი მაგათნაირ ურჯულოებთან და ბოროტის მსახურებთან არ და ვერ იქნება.

შთამომავლობას გადავცემთ თქვენს ნაკეთებ საქმეებს და ამიტომაც, ისტორიის ვერც ერთ მონაკვეთში თქვენ ვეღარ მოხვალთ ხელისუფლებაში. ვერ აღდგება მკვდრეთით ნაცმოძრაობა!

რაც შეეხება პორტირებას და ა.შ. ვირეშმაკურ ფაქტებს და მოვლენებს.

გველი ტყავს იცვლის გარკვეულ პერიოდში, მაგრამ კვლავ გველად რჩება და შხამიც უორკეცდება.

ოცნებაში თუ სხვაგან გადანაცვლებულო, პორტირებულო თუ იაფფასიანო იმპორტირებულ-ინპლანტირებულო გაოცნებებულო ნაცებო, როგორი სახეც უნდა მიიღოთ, როგორადაც უნდა გაელაქუც-გამოელაქუცოთ ქართველ ამომრჩეველს და რანაირი მაქინაციითაც უნდა მიიღოთ ხმები და ადგილები სასურველ სკამებზე, არა აქვს თქვენი ნდობა არავის. 9-წლიანი სისხლის და სიბილწის სუნით ყარხართ და ამ სუნს ვერც პარლამენტში მოიშორებთ და ვერც საიქიოში.

**ირანდა კალანდაძე**

## სოკრატე: თუ ინფორმაციაში არაფერია კარგი, მართალი და სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა:

– იცი რა მითხრა შენზე შენმა მეგობარმა?

– მოიცადე, – შეაჩერა სოკრატემ, – სანამ რამეს იტყოდე, სამ საცერში გაცერი და ისე მითხარი.

– სამ საცერში?

– დიახ, სამ საცერში. პირველი – ეს არის სიმართლის საცერი. დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

– არა, უბრალოდ, რაც მოვისმინე იმას ვამბობ.

– ე.ი. შენ არ იცი სიმართლე თუ არა. კარგი! მაშინ, მოდი ახლა მეორე საცერში გავცრათ შენი სათქმელი. მეორე – ეს არის სიკეთის საცერი. მიპასუხე, ის, რაც უნდა მითხრა, კარგია?

– არა, პირიქით.

– ესე იგი – მშვიდად განაგრძობდა სოკრატე – შენ გინდა მითხრა რაღაც ცუდი და თანაც არ იცი სიმართლეა თუ არა. კარგი, მაშინ, მოდი ბოლო საცერზე გადავიდეთ. მესამე საცერი – ეს არის სარგებელი. შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნება ჩემთვის ის, რისი თქმაც გინდა?

– ვფიქრობ, რომ ის არანაირ სარგებელს არ მოგიტანს.

– მაშ ასე – დაასკვნა სოკრატემ – თუ ინფორმაციაში, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არაფერი არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს მის თქმას?

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ლადო დვალიშვილი: ყველა დარწმუნდა, რომ შორი არ არის ჩემპიონთა ლიგამდე



ვინც ზაგრებულ მატჩს უყურა, დაგვეთანხმება – ლადო დვალიშვილი მთლად საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული მაინც იყო თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. 30 წლის ფორვარდმა ძალიან ბევრი იმუშავა, რამდენჯერმე გაამწვავა სიტუაცია და არც სახიფათო გადაცემები მოაკლო პარტნიორებს.

დვალიშვილს აქვს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის გამოცდილება და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. მას ასევე აქვს პლეიოფებში თამაშის გამოცდილება და იცის, როგორ უნდა დატრიალდეს ორმატჩიანი დუელის ბედი შენს სასარგებლოდ მაშინ, როცა პირველი მატჩი წაგებულია...

მოკლედ, დვალიშვილი ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია თბილისის „დინამოსათვის" და სხვებთან ერთად, მისიც ძალიან გვეიმედება.

– ძნელია ლაპარაკი ასეთ მატჩზე, – თქვა დვალიშვილმა საუბრის დასაწყისში, – ძალიან გულდაწყვეტილები ვართ ყველა – ფეხბურთელები, კლუბის ყველა წარმომადგენელი, გულშემატკივრები... თუ არ ჩავთვლით იმ 3 წუთს, ყველაფერი ნორმალურად იყო.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ფეხბურთი გრძელდება 90 წუთის განმავლობაში და წუთითაც არ შეიძლება მოდუნება, კონცენტრაციის დაკარგვა. კარგი იქნებოდა, ზაგრებში ერთი გოლი მაინც გაგვეტანა, მაგრამ ახლა იმ მოცემულობიდან უნდა გამოვიდეთ, რომელიც გვაქვს.

წინ საპასუხო თამაშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გამოვასწოროთ ზაგრებში დაშვებული შეცდომები და, რაც მთავარია, გამოვასწოროთ ანგარიში.

**– საპასუხო მატჩის თემას კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ ერთს აქვე გკითხავთ – გულწრფელად გჯერათ, რომ ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შესაძლებელია?**

– რა თქმა უნდა, გულწრფელად მჯერა ამის. გამარჯვების თუ არ გჯერა, მაშინ რა ფეხბურთელი ხარ?! მინდორზე რწმენით თუ არ გახვედი, ისე არაფერი გამოვა. მეც მჯერა და ჩემს თანაგუნდელებსაც, რომ ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია. გავალთ მინდორზე და თავს არ დავზოგავთ...

**– ზაგრების „დინამოზე" რა აზრის ხართ?**

– რა თქმა უნდა, ძლიერი გუნდია, მაგრამ არა იმდენად, მისი დამარცხება არ შეიძლებოდეს. მე ვერ ვიტყვი, რომ ზაგრების „დინამო" ორი თავით მაღლა დგას ჩვენზე. თამაშის წინაც მჯეროდა, რომ ჩვენ გვაქვს ამ ბარიერის დაძლევის შანსი და ახლაც მწამს, რომ ეს შანსი არის.

**– სიმართლე გითხრათ, ცოტა მოულოდნელი იყო ზაგრებში „პირველ ნომრად" მოთამაშე თბილისის „დინამოს" ხილვა. ეს მწვრთნელის ჩანაფიქრი იყო, თუ მოწინააღმდეგემ დაგვითმო სივრცე?**

– მწვრთნელმაც და ფეხბურთელებმაც თავიდანვე ვთქვით, რომ არ უნდა გვეთამაშა მხოლოდ დაცვიდან. უნდა გვეთამაშა ჩვენი ფეხბურთი და მოგვეხვია თავზე მოწინააღმდეგისთვის.

გამოჩნდა, რომ შეგვიძლია ასეთი ფეხბურთის თამაში, თუმცა საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ და ძალიან ვწუხვართ ამის გამო. ჩემი აზრით, ეს არ იყო თამაში, რომელიც 0:2 უნდა წაგვეგო...

**– „დინამოს" შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყავით. ეს, ალბათ, იმითიც აიხსნება, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპებსა და პლეიოფებში თამაშის გამოცდილება გაქვთ. როგორ ფიქრობთ, სწორედ ეს გამოცდილება ხომ არ დაგვაკლდა ზაგრებში?**

– გმადლობთ კომპლიმენტისთვის... „დინამო" ახალგაზრდული გუნდია და ეს თქვენც იცით. რა თქმა უნდა, ზოგადად არის ასეთი გამოცდილების ნაკლებობა. იცით, ძალიან არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. თუ როგორ ვითამაშე, ამაზე თქვენ და გულშემატკივარმა უნდა იმსჯელოს...

ისე კი, მნიშვნელოვან თემას შეეხეთ. მე მართლაც მაქვს ეს გამოცდილება. მოგების ტკბილი გემოც

ვიცი და მარცხის სიმწარეც. სწორედ ასე გროვდება გამოცდილება. ახალგაზრდული „დინამოსთვის" ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი. დავრწმუნდი, რომ ჩემპიონთა ლიგის ლამის მუდმივ მონაწილე ზაგრების „დინამოსთან" შეუძლიათ ტოლსწორად თამაში. ყველა დარწმუნდა, რომ შორი არ არის ჩემპიონთა ლიგამდე. თავადაც იცით, ზაგრების „დინამო" თავისი ქვეყნის გრანდია. სულ ჩემპიონი ხდება და ევროტურნირებზეც სულ ჯგუფში თამაშობს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, ალბათ თქვენც, რომ სხვაობა არც ისე დიდია.

**– ჩემთვის ერთგვარი სიურპრიზი იყო ხორვატთა 19 წლის ნახევარმცველის, ანტე ჩორიჩის თამაში. მარკო პიაცას წასვლის შემდეგ ლიდერობას უფრო მარკო როგისგან ველოდით, მაგრამ ჩორიჩმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა – გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა...**

– საერთოდ, ზაგრების „დინამოს" ტყუილად როდი ეძახიან „ტალანტების სამჭედლოს". ამ გუნდში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია. წარმოიდგინეთ, შეიძლება მოთამაშე იჯდეს სათადარიგოთა სკამზე და უზომოდ ნიჭიერი იყოს.

ზოგადად, ხორვატები უაღრესად სპორტული ერია. თითქმის ყველა სახეობაში ძალიან ძლიერები არიან. ფაქტია ისიც, რომ საერთო გამოცდილებით ზაგრების „დინამო" წინ დგას ჩვენზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მეკარე ედუარდო წლების განმავლობაში იყო პორტუგალიის ნაკრების მეკარე და აგერ, ევროპის ჩემპიონატზეც გახლდათ, სადაც რუი პატრისიოს სათადარიგო იყო.

სუდანი ალჟირის ნაკრების ძირითადი შემტევია. მოგეხსენებათ, ამ ნაკრებში მაჰრეზი, ფეგული და სხვა ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ... ასეთ გუნდს „დინამო", ჩემი აზრით, თითქმის არ ჩამოუვარდება. რა თქმა უნდა, მეტოქე ძლიერი გუნდია, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ამ ბარიერის გავლა შეიძლება.

– ერთი მხრივ, 2 აგვისტოს გოლები გვჭირდება, მაგრამ მეორეცაა – არნახული მობილიზაციაა აუცილებელი დაცვაში, რადგან ერთი გაშვებული გოლი პრაქტიკულად ამთავრებს თამაშს...

– თამაშამდე დრო საკმაოდაა და მწვრთნელი ზუსტად გვეტყვის, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. ახლა მხოლოდ ჩემი აზრი შემიძლია ვთქვა. ცხადია, ძალიან კარგი იქნება სწრაფი გოლი, მაგრამ ვფიქრობ, დაცვასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. თუ სწრაფი გოლი არ გამოვა, ვთქვათ, მეორე ტაიმის დასაწყისში რომ გავიტანოთ, ცუდი იქნება? კიდევ ხომ დარჩება დრო გასატანად? ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თბილისში ჩვენ აუცილებლად გვექნება საგოლე შანსები.


## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

**წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ** – 557.324.374


## იუმორი

სკოლაში შრომის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს უსაფრთხოების დაცვის წესებს ასწავლის:

– უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მთავარი წესია, თითები დენის წყაროში არ შეჰყოთ!!!

– მასწავლებელო, თითები იქ ხომ არ ეტევა?

– უტვინო, ლურსმნებით სცადე?

* * *

კაცმა თუთიყუში იყიდა, გალიაში ჩასვა და ფანჯრის რაფაზე შემოდგა. მეორე დღეს გაიარა პოლიციელმა. თუთიყუშმა დაინახა თუ არა დაუძახა:

– გათახსირებულო ძაღლო!

პოლიციელი პატრონთან მივიდა და დააჯარიმა. იგივე განმეორდა რამდენჯერმე. პატრონს ამდენი ჯარიმის გადახდა მობეზრდა და თუთიყუში მეზობლად მცხოვრებ მღვდელს მიაბარა. პოლიციელმა ფანჯარას ჩაურა, მაგრამ თუთიყუშმა ხმა არ ამოიღო. პოლიციელი მივიდა და ეუბნება:

– რა, ველარ მცნობ? ეს ხომ მე ვარ, გათახსირებული ძაღლი.

– გვიან ინანიებ, შვილო ჩემო, – უპასუხა თუთიყუშმა.


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.




*დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge